ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

გვ.4

მიხეილ სააკაშვილი: „ბარიგების ერთმა ჯგუფმა უკრაინა საკუთარ კანტორად აქცია“

25 ნოემბრიდან
პიტერ ბენჩლის
ლეგენდარული ტრილერი
ყბები
ფასი
გაზეთთან
ერთად
14 ლარი

ორშაბათი, 28 ნოემბერი, 2016 №282 (7207) ფასი: 50 თეთრი

„დეპუტატები და მთავრობის წევრები ფულს აპროცენტებენ“

გვ.3

რა სია მიაწოდეს ყოფილ დეპუტატს

ირმა ინაშვილი: „კვირიკაშვილისგან განსხვავებით, ჩემი სამშობლო არასდროს მიმიტოვებია“

გვ.3

„26 ნოემბრის სხდომამ გამახსენა კომკავშირის ყრილობები, რომლებსაც მე მოვესწარი თავის დროზე. არ არის საჭირო პარლამენტი, სადაც მხოლოდ ერთი ხმა ისმის და ისიც ამბობს, რომ ყველაფერი კარგად არის“

რა სკანდალების გაჟღერებას აპირებს პატრიოტთა ალიანსი

გიგა ბოკერია: „ქართული ოცნება“ უნდა შეეგუოს, რომ პარლამენტში დისკომფორტი ბევრჯერ შეექმნება“

გვ.2

პეტრე მამრაძე: „რუსეთთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს“

გვ.7

რის გაკეთება დაავალა პუტინმა სააკაშვილს

ვახტანგ ძაბირაძე: „პარლამენტში დაპირისპირება ნაციონალებსა და პატრიოტთა ალიანსს შორის იქნება“

გვ.5

ISSN 1987-9385

გვ.5

სოსო მანჯავიძე: „ხალხს რეფერენდუმის უფლება არ უნდა ნაართვან“

გიგა ბოკერია: „ქართული ოცნება“ უნდა შეეგუოს, რომ პარლამენტში დისკომფორტი ბევრჯერ შეექმნება“

შორენა მარსაგიშვილი

იხარე, ერო, მოკვდი, მტერო – საქართველოს ძველი სახეებით გაძეძგილი ახალი მთავრობა ჰყავს. გუშინ, 27 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას გიორგი კვირიკაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით.

– საქართველოს კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრემიერ-მინისტრად დაინიშნოს გიორგი კვირიკაშვილი, – ნათქვამია პრეზიდენტის განკარგულებაში.

ამ განკარგულებამდე ერთი დღით ადრე საქართველოს მთავრობას ნდობა საკანონმდებლო ორგანომ გამოუცხადა. მთავრობას 110-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 19 კი წინააღმდეგი წავიდა. პატრიოტთა ალიანსს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

პარლამენტის სხდომა საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა. „ქართული ოცნების“ დეპუტაციას ცაში აჰყავდა ქებით მთავრობა, ოპოზიცია კი მათზე ათას საშინელებას ამბობდა.

ნაციონალებმა ვერც ამჯერად აუარეს გვერდი თავიანთ საყვარელ თემას და ბიძინა ივანიშვილი რამდენჯერმე მოიხსენიეს.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ვიცესპიკერმა სერგი კაპანაძემ მეოცნებეებს იმის გამო უსაყვედურა, რომ ისინი თვითკმაყოფილებას არიან მიცემული. კაპანაძე ამბობს, რომ მისი პარტია ყოველთვის ისაუბრებს არაფორმალურ მმართველზე და „ოცნებას“ ამ თემის მიჩუმათება არ გამოუვა.

– მაინტერესებს, ახალია თქვენთვის, რომ საქართველოში არაფორმალურ მმართველობაზე საუბრობენ? რას ელით, რომ ოპოზიცია არ ისაუბრებს ამაზე? ამ თემას არ დააყენებს თუ საიდან გაქვთ ეს მოლოდინი? აქ მხოლოდ ამაზე კი არა, ბევრ სხვა საკითხზეც ვისაუბრებთ, როგორიც პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებია, როგორიც რუსთავი 2-ია, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლოსა და სხვა ინსტიტუტებზე სრული კონტროლის მონოპოლიზაციაა.

ვხედავ, რომ თქვენგან ბევრია მიცემული თვითკმაყოფილებას. გაქვთ ამის ფუფუნება იმიტომ, რომ არჩევნებში ხართ გამარჯვებული, მაგრამ ოპოზიცია აქ იმისთვის არის, რომ ყველა ამ პრობლემატურ საკითხზე გესაუბროთ და მიგითითოთ, – განაცხადა კაპანაძემ.

ივანიშვილის გამო კიდევ ერთხელ ეკამათა პრემიერს ნიკა მელია, რომელმაც ამ ამბამდე ერთი დღით ადრე კვირიკაშვილს ნომინალური უწოდა.

ასე მოხსენიება პრემიერს არ ეამა და მელიას უთხრა, თუ ნომინალური ვარ, კითხვებს რატომ მისვამ.

ამის საპასუხოდ ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა კვირიკაშვილს კიდევ ერთხელ უწოდა ნომინალური და იქვე ჩააზუსტა, რომ სიტყვა ნომინალური შეურაცხმყოფელი სულაც არ არის.

– გეთანხმებით, კითხვა არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი, მაგრამ სიტყვა ნომინალური 25 ნოემბერსაც გითხარით და, დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგად იცით დეფინიცია, არანაირად არ არის შეურაცხმყოფელი. მგონი, უხერხულია თქვენგან ამ ყველაფერზე საუბარი, ბატონო გიორგი, როდესაც ყველა გამოსვლას იწყებთ და ამთავრებთ ფრაზით – მადლობა ბატონ ბიძინას, – განაცხადა ნიკა მელიამ.

კვირიკაშვილ-მელიას დაპირისპირებაში ჩარევა გადაწყვიტა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ. მან ნაციონალებს საგანგებოდ მიმართა და სთხოვა, მთავრობის მიმართ შეურაცხყოფის გამოთქმის სურვილები დაიოკონ.

– ჩვენ გავიარეთ ის პერიოდი და მგონია, რომ პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით კიდევ უფრო წინ უნდა წავიდეს ეს პარლამენტი. პრემიერს არავისი დაცვა არ სჭირდება, რადგან ის თვითონ იძლევა იმის საუკეთესო მაგალითს, თუ როგორ უნდა დაიცვას თავისი გუნდი. მინდა, კოლეგებს ვუთხრა, რომ როდესაც ადამიანი გადადის შეურაცხყოფაზე, მას არ ჰყოფნის არც კულტურა და არც ინტელექტუალური რესურსი. ამიტომ საჭირო იქნება, ამ მხრივ ყველამ მოთოკოს საკუთარი სურვილები, – განაცხადა ბესელიამ.

შეურაცხყოფის თემაზე ისაუბრა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ. ამ თემაზე მეოცნებეთა მიერ გაკეთებულ განცხადებებს მან აბსურდული უწოდა და მინისტრები იქით დაადანაშაულა შეურაცხყოფის მიყენებაში,

გაიხსენა 24 ნოემბერს გამართული საკომიტეტო მოსმენა, სადაც თეა წულუკიანმა ელენე ხოშტარია ძველბიჭობაში დაადანაშაულა.

– ეგ არის ლიბერალური დემოკრატია, როცა გაკრიტიკებენ ისე, რომ არ გსიამოვნებს, თან მაგრად რომ არ გსიამოვნებთ და მერე პასუხებსაც იძლევი და მერე სათათბიროდაც ჯდები ოპოზიციასთან. თქვენთვის ეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამას უნდა შეეგუოთ. აბა, რა გგონიათ, ის, რაც აქ გესმით, რომ როგორი კარგები ხართ და ნუთუ კიდევ უფრო კარგები იქნებით შემდეგი 4 წელი, ეს არის კრიტიკა?

ნომინალური შეურაცხყოფაო, ამბობთ, როცა თეა წულუკიანი გყავთ მთავრობაში. მოუსმინეთ, როგორ ლაპარაკობდა რამდენიმე დღის წინ, ან აქ ერთ-ერთი ახალგაზრდა რომ ოჯახის წევრ მამაზე საუბრობდა, ჩვენ გვიკითხავთ მორალს? შეეგუეთ, რომ ამ დარბაზში გექნებათ დისკომფორტი. საკონსტიტუციო უმრავლესობა გაქვთ და ყველაფერს აკონტროლებთ და წუწუნებთ იმაზე, რომ არ მოგწონთ, აქ რაც გესმით! – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

პარტიის კიდევ ერთმა ლიდერმა ირაკლი აბესაძემ, რომელსაც თვალი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეობის მოადგილეობისკენ უჭირავს, განაცხადა, რომ ის, რაზეც „ოცნების“ წარმომადგენლები საუბრობენ, ალტერნატიული რეალობაა.

– ასიათასობით პენსიონერისთვის იმედების გაცრუებაა, როდესაც მათ პენსიის გაზრდაზე უარს ეუბნებით, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯული მილიონობით ლარი კი ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად არ აისახება, რადგან დახარჯული თანხა ყოველთვის გაკეთებულ საქმეს არ ნიშნავს, თუ ამ თანხას კორუფცია შეჭამს. თანამდებობაზე ყოფნა ნაცვლად საზოგადოების კეთილდღეობის გარანტიისა თქვენ აქციეთ პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფის გარანტიად. საზოგადოებას – ვერა, მაგრამ მინისტრებს მოგილოცავთ, რომ თქვენ იშოვეთ ამ უმუშევრობის ფონზე ძალიან კარგი სამსახური, – მიმართა აბესაძემ მთავრობის წევრებს.

დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი საზოგადოებამ იმით გაიცნო, რომ მან მანქანაში ბიძინა ივანიშვილის ფოტო დაკიდა. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა 25 ნოემბერს გიორგი კანდელაკის განცხადება, უცხოელმა ელჩებმა მითხრეს, ყველა საკითხს ივანიშვილთან ვაგვარებთო.

ლურსმანაშვილმა კანდელაკის განცხადებას მიუღებელი უწოდა და პასუხი ლექსით გასცა.

– დიდი პოეტის, გალაკტიონის სიტყვებით შემიძლია ვუთხრა გიორგი კანდელაკს: „გაღატაკებულ პროზას თუ გამოვაკლებთ ოზას და მივუმატებთ უწუნს, მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნს“, – განაცხადა ლურსმანაშვილმა.

◆ ◆ ◆

ნაციონალების მიერ დაგმობილმა და ნომინალურად შერაცხულმა გიორგი კვირიკაშვილმა გადაწყვიტა, დასკვნით სიტყვაში საკუთარ თავზე ესაუბრა და თქვა, რომ ის მმართველობის ახალ სტილს ამკვიდრებს.

კვირიკაშვილმა საკუთარი გუნდის წევრებს საგანგებოდ მიმართა და აღნიშნა, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ ეძლევა ისტორიული შანსი, ჩადგნენ იმ ადამიანთა რიგებში, რომლებმაც ქვეყანაში ისტორიულ მომენტში მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს და ქვეყანა წინ წასწიეს.

– მინდა, ორიოდე სიტყვა ვთქვა საკუთარ თავზე, რომ სხვამ არ თქვას და შემდეგ დითირამბებში არ ჩაითვალოს. არ მიყვარს პერსონალური სადღეგრძელოები, გავდივარ ხოლმე სუფრიდან,

გიორგი კვირიკაშვილი: „ჩვენ უკან ყველა გზა ჩახერგილია“

როცა ასეთი რამ ხდება. არასოდეს თათბირის დროს არ ვჯდები მაგიდის თავში, ყოველთვის შუაში ვზივარ და არასოდეს, არცერთი ორგანიზაცია, სადაც მიმუშავია, არ მიმართავს შიდა დაპირისპირებისა და ინტრიგების მეშვეობით. ეს ყველაფერი ერთად, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ჩვენ სრულიად ახალი სტილით ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომლებიც დღეს გვაქვს და ამიტომ ვახსენებ ამას. რატომ ვახსენებ ამას ზუსტად დღეს და რატომ გესაუბრებით თქვენ, ჩვენს ოპონენტებს, ამასაც ძალიან კონკრეტული მიზანი აქვს.

იმას, რომ თქვენ 25 ნოემბერს გამოიყენეთ სიტყვები – პოლიტიკური უტიფრობა თუ სხვა, მე მინდა, ერთი ძალიან მარტივი სიტყვა ვუწოდო. ეს არის ქედმაღლობა. ამიტომ არ აგირჩიათ თქვენ ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ. ეს არის ყველაზე მთავარი მიზეზი, რის გამოც ნაციონალური მოძრაობა დღეს უმცირესობაშია, – აღნიშნა პრემიერმა.

მისი თქმით, ამას სჭირდება გაანალიზება და გაცნობიერება და იმედი აქვს, რომ მისი გუნდის წევრები ყველაფერს გააანალიზებენ და მხოლოდ წინ ივლიან, რადგანაც მათ უკან ყველა გზა ჩახერგილია.

გიორგი კვირიკაშვილი

– სწორედ ამას დაუჭირა ქართველმა ხალხმა მხარი, რომ პოლიტიკური ძალა, რომელსაც აქვს უნარი, ისაუბროს საკუთარ შეცდომებზე და მე ამის მაგალითი მოგეცით, რომელსაც აქვს უნარი, ისაუბროს ოპონენტების წარმატებაზე – ამის მაგალითიც მოგეცით მე თქვენ. ვერცერთი საპასუხო მაგალითი, სამწუხაროდ, მე ვერ მოვისმინე თქვენი მხრიდან. ასე რომ, იმ ახალი რეალობის ძრავა ჩართულია და ამას ვერაფერი გააჩერებს.

ამ ახალ რეალობაში იმ გამოწვევებს, რომლებსაც ეს რეალობა გვკარნახობს, პასუხობს ის ძალა, რომელიც დღეს არის ხელისუფლებაში, მოგწონთ ეს თუ არა. ჩვენს ქვეყანას ნამდვილად სჭირდება წარმატებები, გამარჯვებები, ხვალინდელი დღის იმედი. იმედი ამოძრავებს სწორედ ეკონომიკასაც და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ზედმეტად ნეგატიურად არ დავხატოთ ის რეალობა, რომელიც არის, რათა მეტი პოლიტიკური ქულა დავიწეროთ.

ამიტომ მინდა, მივმართო ჩვენი გუნდის წევრებს: დღეს ჩვენ გვეძლევა ისტორიული შანსი, ჩავდგეთ იმ ადამიანების რიგებში, რომლებმაც ქვეყანაში ისტორიულ მომენტში ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს და ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო წინ წასწიეს. მოგიწოდებთ ყველას, ყველაფერი პირადული გვერდზე გადავდოთ და განვეწყოთ ძალიან დიდი ბრძოლისთვის. ბრძოლაში, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, შრომას ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, ვინაიდან ყველა ჩვენგანს, ვინც ეს უდიდესი ტვირთი იტვირთა საკუთარ თავზე, სრულად უნდა ესმოდეს და აცნობიერებდეს, რომ უკან მოსაბრუნებელი გზა არ არის. სხვა არჩევანი ჩვენ არ გაგვაჩნია, იმიტომ, რომ ჩვენ უკან ჩვენი სამშობლოა, ჩვენი მოსახლეობაა და ჩვენ უკან ყველა გზა ჩახერგილია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„დეპუტატები და მთავრობის წევრები ფულს აპროცენტებენ“

რა სია მიაწოდეს ყოფილ დეპუტატს

შორენა მარსაგიშვილი

რომელი პოლიტიკოსია მევახშეობით დაკავებული, როდის გასაჯაროვდება სკანდალური მონაცემები, ვინ შოულობს მილიარდებს ლარის გაუფასურებით? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი, პარტია „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

– თქვენ სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელეთ, ამბობთ, რომ მოგაწოდეს სკანდალური სია, სადაც იმ პოლიტიკოსებზეა საუბარი, რომლებიც ფულს აპროცენტებენ.

– გიდასტურებთ, რომ მე მომაწოდეს 30 კაცისგან შემდგარი სია. ესენი არიან პარლამენტის წევრები, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, სამინისტროების ხელმძღვანელი პირები. ეს ადამიანები ფულს სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელით აპროცენტებენ.

– შეგიძლიათ ამ ადამიანების დასახელება?

– მათ ვინაობას ვერ დავასახელებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის მოწოდებული სია სათანადო დოკუმენტაციით არის გამყარებული. ინფორმაციის დეტალების გამჟღავნების უფლება არა მაქვს. ამას ის ორგანიზაცია გააკეთებს, რომელმაც ეს კვლევა ჩაატარა.

პოლიტიკოსების ნაწილი რომ მევახშეობით არიან დაკავებული, ამის შესახებ უკვე წლების განმავლობაში საუბრობენ. საზოგადოებისთვის მათი გვარებიც კარგად არის ცნობილი. ისიც ცნობილია, რომ ბევრ დეპუტატს მჭიდრო კავშირი აქვს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან, რომლებიც საერთოდ უნდა აიკრძალოს.

– რატომ უნდა აიკრძალოს?

– იმიტომ, რომ ისინი ჩვეულებრივი მევახშეები არიან. კანონი უნდა იქნეს მიღებული მევახშეობის წინააღმდეგ და ყველა მევახშე სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს. სწორედ მათი ქმედებების შედეგია, რომ ნახევარი საქართველო დღეს გაუბედურებულია. მოსახლეობის ნახევარზე მეტმა მათი წყალობით დაკარგა ბინები და ქონება.

სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ არავინ იღებს ხმას. მათ პოლიტიკოსები მფარველობენ. ეს მიკროსაფინანსოები მათ ფულს აპროცენტებენ და ორივე მხარე დიდ მოგებას იღებს.

– მოდით, ისევ სიას დავუბრუნდები. თქვენ მისი გასაჯაროებისგან თავს იკავებთ, მაგრამ, ის მაინც გვითხარით, ამ სიაში არიან თუ არა მოქმედი დეპუტატები?

– ამ სიაში არიან „ოცნების“ როგორც ძველი, ისე ახალი სახეები. იმედი მაქვს, ეს სია მალე გამოქვეყნდება. იქ ძალიან საინტერესო ხალხს შეხვდებით. მართალია, მევახშეობა კანონით არ ისჯება, მაგრამ ქრისტიანულად ეს ძალიან დიდი დანაშაულია. ჩემთვის მევახშეები იგივენი არიან, რაც ნარკოტიკებით მოვაჭრეები.

ხელისუფლების წარმომადგენლები და ექსპერტთა ნაწილი ლარის კურსის დასტაბილურებაზე ზღაპრებს გვიყვებიან. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ლარი არ გამყარდება, იმიტომ რომ გარკვეული ჯგუფები ამით ძალიან დიდ ფულს შოულობენ. მოდით, ამ ყველაფერს გლეხურ ენაზე ავხსნი – როცა წინასწარ იცი, რა იქნება ლარის კურსი და წინასწარ თუ შეიძენ დოლარს, მოგვიანებით ძალიან დიდ თანხას იშოვი. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში იმ საფინანსო ჯგუფებმა ამ საქმით მილიარდები იშოვეს.

– ვინ იცის წინასწარ, როგორი იქნება ლარის კურსი მომავალში?

– პირველ რიგში, ხელისუფლების წარმომადგენლებმა იციან. ასეთ მოკლე პერიოდში ასეთი ოდენობის თანხას ვერანაირი ბიზნესით ვერ იშოვი. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი ისედაც გაღატაკებული ხალხის გაუბედურების ხარჯზე ხდება. ცუდია ისიც, რომ ამის წინააღმდეგ ვერაფერს მოიმოქმედებ. ფულის გაპროცენტება კანონით არ ისჯება. ფული მისია, უნდა, გააპროცენტებს, უნდა, რესტორანში დახარჯავს. ერთადერთი, რაშიც შეიძლება მოვედავოთ, ის არის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ფულს სხვისი სახელით აპროცენტებენ.

ირმა ინაშვილი: „კვირიკაშვილისგან განსხვავებით, ჩემი სამშობლო არასდროს მიმიტოვებია“

შორენა მარსაგიშვილი

რა სკანდალების გაჟღერებას აპირებს პატრიოტთა ალიანსი

უმცირესობაში ყოფნის მიუხედავად, პატრიოტთა ალიანსი ხელისუფლების აწიოკებას კარგად ახერხებს და ნაცმოძრაობასაც გაუხსნა მეორე ფრონტი. როგორც სოციალურ ქსელებში დაიწერა, ინაშვილმა და კამპანიამ უმცირესობასაც და უმრავლესობასაც ირმაგედონი მოუწყო.

ალიანსისგან რომ კარგი არაფერი ელოდათ, ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილი და მისი გუნდი დამტკიცების წინა დღეს თავად ირმა ინაშვილმა ჩააყენა საქმის კურსში. ამის მიუხედავად, მინისტრობის კანდიდატები პარლამენტის ვიცესპიკერს გაოგნებულები უსმენდნენ, რომელიც, თავის მხრივ, იმითაც იყო აღშფოთებული, რომ უმრავლესობა და კვირიკაშვილის გუნდი ერთმანეთის ქება-დიდებით იყვნენ დაკავებული.

– პოლიტიკური ნარცისიზმის ნიშნებია შემოპარული ამ დარბაზში. იმიტომ არის კარგი პოლიტიკური პლურალიზმი, იმიტომ არის კარგი ბევრი პარტია პარლამენტში, რომ არ ისმოდეს ერთი ხმა. მთელი დღის განმავლობაში თქვენ ეფერებით ერთმანეთს, დითირამბებს უძღვნით ერთმანეთს, ეთანხმებით ერთმანეთს და ამასობაში დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ძირითადი გეგმები მაინც მომავალზეა გათვლილი, თუმცა, არ არის უმნიშვნელო საკითხი, მე ველოდებოდი, ლოკალურ მასშტაბში რა ნაბიჯებს გადადგამთ. რამდენი უსახლკაროა ქვეყანაში? რამდენია დაზარალებული იპოთეკით? რამდენი მეანაბრეა? ჩვენ ადამიანების სიცოცხლესთან გვაქვს საქმე. კარგი იქნება, მეტი კონკრეტიკა იყოს ამ პროგრამებში, – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ალიანსის გენერალურმა მდივანმა.

მან პრემიერს პარტიებისთვის იარლიყების მიწებებისგან თავის შეკავება ურჩია, ამასთან, ბრალად დასდო, რომ ის გიგა ბოკერიასავით აზროვნებს. თავის მხრივ, არც ბოკერიას ასვენებს გამჩენი და გამუდმებით პატრიოტთა ალიანსის ხსენებაშია.

– 25 ნოემბერს თქვენ გამოეხმაურეთ გიგა ბოკერიას განცხადებას, თითქოს ჩვენ ჩრდილოელი მეზობლის საწარმო ვართ. არადა, სწორედ ამათ გააჩუქეს ქართული მიწების 22%, დღეს კი ჩვენზე ლაპარაკობენ. აგენტები მოიკითხეთ თქვენს გუნდში. არ გვინდა იარლიყების მიკერება ერთმანეთისთვის. პრემიერი ამ პროცესს ხელს უწყობს.

თქვენ აღნიშნეთ, ბატონო გიორგი, რომ სტრატეგიულ ურთიერთობაში ვერ შეხვალთ პატრიოტთა ალიანსთან. მე ვარ ვიცესპიკერი და გამოდის, ბრალს მდებთ იმაში, რომ ქვეყნისთვის საწინააღმდეგო კურსს ვუჭერ მხარს? მე მოვითხოვ, წარმოადგინოთ ერთი ციტატა მაინც, სადაც ვამბობთ, რომ მხარს არ ვუჭერთ ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციას დასავლეთის სტრუქტურებში.

მე ამ კუთხით თქვენზე მეტი მაქვს გაკეთებული. არ უნდა აკეთებდეთ ასეთი ტიპის განცხადებებს. როდესაც მაღალფარდოვანი სიტყვებით ლაპარაკობთ ამ ტრიბუნიდან, ასე იდიოტია არ მყარდება, თქვენც ისევე აზროვნებთ, როგორც გიგა ბოკერია. მე ჩემი სამშობლო არ მიმიტოვებია მაშინ, როცა თქვენ, არ ვიცი, სად იყავით. სხვათა შორის, ბოკერია მოდიოდა იმ ჭუბერის გზაზე, მაგრამ თქვენ არ მინახხართ ამ გზაზე. პოლიტიკური კულტურა ნიშნავს იმას, რომ თქვენ არ უნდა დაყოთ პოლიტიკური სპექტრი კლასებად, – ასე მიმართა ინაშვილმა პრემიერს, მოგვიანებით კი თავის თანაგუნდელებთან ერთად დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა. ალიანსს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. ალიანსის გენერალური მდივნის განმარტებით, ეს იყო სწორი გადაწყვეტილება

– 26 ნოემბრის სხდომამ გამახსენა კომკავშირის ყრილობები, რომელსაც მე მოვესწარი თავის დროზე. არ არის საჭირო პარლამენტი, სადაც მხოლოდ ერთი ხმა ისმის და ისიც ამბობს, რომ ყველაფერი კარგად არის, – აღნიშნა ინაშვილმა.

◆ ◆ ◆

სხდომათა დარბაზის დატოვებამდე ალიანსის სხვა ლიდერებმაც გააკეთეს განცხადებები. ემზარ კვიციანი საჯაროდ დაჰპირდა გიგა ბოკერიას სკანდალური ინფორმაციების გასაჯაროებას, მანამდე კი ნაციონალებისთვის გარკვეული განმარტებები გააკეთა და გიგა ბოკერიასაც შეახსენა რაღაცები.

– მინდა, პატივცემულ ნაციონალებს გავცე პასუხი, როგორ მოვხვდი 2006 წელს რუსეთში აფხაზეთის გავლით. პატივცემულებო, საითაც ნადირივით სარეკი მომიწყვეთ, იქით მოვხვდი მე.

მინდა გავახსენო ბატონ გიგა ბოკერიას 1991-1992 წლები, კანონიერი პრეზიდენტის დამხობა. სად იყო მაშინ გიგა ბოკერია? ეს ადამიანი პირველად ამ პერიოდში ვნახე. „ივერიასთან“ იდექით ავტომატით და უკან გამომატრიალეთ.

ჩვენი შეხვედრა მეორედ 2001 წელს შედგა პარლამენტში, სადაც თქვენ საშვის გარეშე იყავით შემოსული.

2002 წლის 12 აპრილს რუსებმა დესანტი გადმოსხეს კოდორის ხეობაში. ზუსტად მაგ დღეს, გიგა ბოკერიავ, თქვენ უჯარმაში, ჩემს სახლთან გადმოსხით დესანტი, ამიბუნტეთ ხალხი. ეს გააკეთეთ იმიტომ, რომ ყურადღება გადამეტანა, არ წავსულიყავი კოდორში და იქიდან რუსები არ გამეყარა.

2006 წელი – კოდორის ხეობაში მოხდა ჯარების უკანონო გადაყვანა. როგორ გაიარეთ 2 რუსული საგუშაგო? რატომ გაგატარეს თქვენ და რატომ გვაწვალებდნენ ჩვენ, როცა ჰუმანიტარული დახმარება შეგვქონდა? ყველა მანქანას ამოწმებდნენ, იარაღი ხომ არ შეგვქონდა ხეობაში. მე დავუშვი თქვენზე საშვები რუსებთან? ამიტომ თავი დაანებეთ ჩემკენ ხელის შვერას პრორუსულობაზე.

2007 წლის 12 მარტს კოდორის ხეობაში სოფელ ჩხალთის საშუალო სკოლა დაიცხრილა. მეორე დღეს თქვენ და გივი თარგამაძეს ჩანიშნული გქონდათ ბრიფინგი, სადაც მომხდარი ემზარ კვიციანისთვის უნდა დაგებრალებინათ. ამ დროს ემზარ კვიციანმა დაგასწროთ, დაუკავშირდა მედიას და შეატყობინა, რომ მომხდართან დაკავშირებით არაფერ შუაშია. ამის შემდეგ ჩემთან მოდიან რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები და მექმნება პრობლემები. რატომ დაემთხვა ეს მოვლენები ერთმანეთს, გიგა ბოკერიავ? წინასწარ დაანონსებული ბრიფინგი ჩაშალეთ. იმიტომ ჩაშალეთ, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავზე არ ავიღე, განსხვავებით მერაბიშვილის წინააღმდეგ მოწყობილი ვითომ ტერაქტისგან.

კიდევ ბევრი რამის თქმა შემიძლია, მაგრამ ჩემი დრო იწურება და, თუ დროს დამიმატებთ, კიდევ ბევრს მოგფხანთ გულს, – განაცხადა თავის გამოსვლაში კვიციანმა.

მას დროის დამატებაზე უარი უთხრეს. დეპუტატმა პირობა დადო, რომ ნაციონალებზე სკანდალურ მასალებს ამიერიდან მედიით გაავრცელებს.

კახა კალაძე: „საქართველოში არასდროს დაბრუნდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც საკუთარ მოქალაქეებზე იძალადებს“

– საქართველოში არასდროს დაბრუნდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც საკუთარ მოქალაქეებზე იძალადებს.

ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს პარლამენტის მიერ მთავრობის ნდობის გამოცხადების შემდეგ განუცხადა.

კალაძემ პარლამენტსა და ამომრჩეველს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

– პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას. მინდა, მას მადლობა გადავუხადო, თუმცა ყველაზე მთავარი არის ის, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ გამოგვიცხადა ნდობა და მადლობა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს. ვეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, ვიყოთ ხალხის მსახურები. ჩვენ 4 წლით დაგვიქირავა ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობამ და, შესაბამისად, რაც გვქონდა წინასაარჩევნოდ წარმოდგენილი და რაზეც ვსაუბრობდით, ეს არის თავისუფლება, კიდევ უფრო განტკიცდება. ეს ძალიან დიდი შრომის, ბრძოლის შედეგად მოვიპოვეთ და არავის მივცემთ უფლებას, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს შეურაცხყოფა მიაყენონ, ღირსება შეულახონ. ეს დრო წარსულს ჩავაბარეთ. არასდროს დაბრუნდება საქართველოში ისეთი ხელისუფლება, რომელიც საკუთარ მოქალაქეებზე იძალადებს, – განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება.

– ის ეკონომიკური გეგმა, რომელიც ჩვენს გუნდს აქვს წარმოდგენილი, გვაძლევს შესაძლებლობას, ქვეყანა სწრაფად განვავითაროთ, ისე, რომ თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს კეთილდღეობა, – განაცხადა კახა კალაძემ.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„ყველა სტუდენტი თანასწორი უნდა იყოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მედიაექსპერტი ია ანთაძე პასუხობს.

– ია, რა პროცესები მიმდინარეობს სახელმწიფო უნივერსიტეტში? რას აპროტესტებს აუდიტორია 115 და რამდენად სამართლიანია მათი პროტესტი?

– ბუნებრივია, რომ ახალგაზრდებს აქვთ პროტესტის განცდა იმის მიმართ, რაც ხდებოდა წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მე მგონი, ძალიან მკაფიოდ განმარტავენ, რა არ მოსწონთ მათ უნივერსიტეტში და ის, რაც მათთვის არის მიუღებელი, მე მგონია ასე, რომ ჩვენთვის, მოქალაქეებისთვისაც უნდა იყოს მიუღებელი, თუ გვინდა, რომ კარგი უნივერსიტეტები გვქონდეს და სწავლის ხარისხი იყოს ისეთი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები იყვნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ.

– ძირითადად რა სახისაა მათი მოთხოვნები?

– იქ არის საუბარი ძირითადად ორ თემაზე – ერთი, რომ სწავლის ხარისხი გაიზარდოს და მეორე – სტუდენტურ ჯგუფებსა და, პირველ რიგში, თვითმმართველობას არ მიეცეთ ისეთი პრივილეგიები, რომელიც არა აქვთ სხვა ჯგუფებს, რომლებსაც ასევე უნდათ აქტიურობა. მე მიმაჩნია, რომ ერთი მოთხოვნაც ძალიან სწორია და მეორეც.

– გამოხატვის ფორმებზე რას იტყვით?

– რაც შეეხება ფორმებს, დღეს მათი ფორმები ძალიან მწვავეა, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ, მიუხედავად ბევრი დაპირებისა, ვერ მიიღეს ამ დაპირების შესრულება და ახლა გადავიდნენ უფრო რადიკალურ გამოხატვაზე. არსებობს კანონი და კანონის ფარგლებში ყველანაირი გამოხატვა მისაღებია. როდესაც კანონი ირღვევა, მერე სახელმწიფო ერევა აქ და ცდილობს, ეს კანონდარღვევები აღარ იყოს და აღადგინოს წესრიგი. პრინციპში, ჩემთვის გასაგები და მისაღებია აუდიტორია 115-ის პროტესტი.

– რატომ არ წავიდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დათმობაზე? ვნახეთ, რომ თვითმმართველობის არჩევნებიც ჩატარებულად გამოცხადდა. რატომ არ დათმეს?

– დათმობა ნამდვილად იყო. ვერ ვიტყვით, რომ არაფერი დათმეს. მე რექტორს მოვუსმინე და ის ამბობს, რომ პრივილეგიები, რომლებიც ჰქონდა ადგილობრივ თვითმმართველობას, აღარ ექნება, მაგრამ თვითონ თვითმმართველობა, როგორც ერთ-ერთი თვითორგანიზებული ჯგუფი, ისევ იარსებებს. აუდიტორია 115-ს აქვს სურვილი, საერთოდ არ იყოს თვითმმართველობა იმ ფორმით, რა ფორმითაც ახლაა. რომ მათ კანონით მინიჭებული გარანტიები არ ჰქონდეთ.

– ყველა სტუდენტი თანასწორი იყოს?

– დიახ, იყოს ყველა თანაბარ პირობებში და ყველას ჰქონდეს საშუალება, თავად შექმნას თვითორგანიზებული ჯგუფი იმ საკითხზე, რა საკითხზეც ამ ჯგუფის წევრებს უნდათ მუშაობა. რექტორი ამბობს, რომ ფინანსური პრიორიტეტები თვითმმართველობას აღარ ექნება, მაგრამ თვითმმართველობა, როგორც ასეთი, იარსებებს. აი, აქ არის ახლა დავა. გარკვეული უკანდახევა

იყო, მაგრამ, არა ისეთი, როგორსაც ითხოვდნენ აუდიტორია 115-ის წევრები.

– სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე რას იტყვით?

– რაც შეეხება სწავლის ხარისხს, ეს მრავალწლიანი გეგმაა და მე არ ვიცი, რამდენად განხორციელდება, მაგრამ იმაში, რომ ცვლილებები საჭიროა, ეჭვი არ მეპარება. ამაზე სტუდენტებიც საუბრობენ, მთავრობაც, ლექტორიც და, სინამდვილეში რას მივიღებთ, ამაზე გარკვეული პერიოდის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ.

– პიკეტირება გრძელდება. რამდენად მოხერხდება შეთანხმება, დათმობაზე წასვლა?

– გამოვა, ალბათ. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მოხდეს. მთავარია, საბოლოოდ რა გამოვა, ვის რისი დათმობა მოუწევს. ვიღაცამ უნდა დათმოს, ეს ფაქტია. როდესაც არის პროტესტი და ორგანიზებული პროტესტი, სახლში არავინ წავა, იმიტომ რომ დაიღალნენ. ისინი ახალგაზრდები არიან და ძალიან დიდხანს არ დაიღლებიან. ამიტომ მათ სჭირდებათ, მოუსმინონ უფრო ყურადღებით და გაითვალისწინონ ის, რაც მათ უნდათ და რასაც ითხოვენ. რით დასრულდება ეს პროცესი, არ ვიცი, მაგრამ, ერთი ვიცი, რეპრესიებს ამ ახალგაზრდების მიმართ არ ველოდები. მაინც მგონია, რომ მოლაპარაკებითა და დათმობით დასრულდება.

– რას იტყვით სკოლებში მიმდინარე პროცესებზე, როგორც ყოფილი პედაგოგი, რა პრობლემებია?

– სკოლა ძალიან კომპლექსურია, იმიტომ რომ იქ არის მასწავლებლების კვალიფიკაციის, სკოლის უსაფრთხოების, სახელმძღვანელოების პრობლემა და ასე შემდეგ. ძალიან კომპლექსურია სკოლის თემა. მინისტრი რასაც ამბობს, თუ დავუკვირდებით შინაარსს, პრინციპში, არავის შეიძლება რამე ჰქონდეს ამ შინაარსის საწინააღმდეგო.

– მაშ, რატომ იწვევს ეს დავას საზოგადოებაში?

– უბრალოდ, დავას იწვევს ფორმები, რა

რატომ დაიცვა ია ანთაძემ ელენე ხოშტარია

ფორმითაც ბატონი ჯეჯელავა ამ თავის შინაარსა ახმოვანებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც მინისტრობამდე დაკავებული იყო ისეთი პროფესიით, სადაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც შინაარსს, ასევე ფორმას. იმისთვის, რომ მას მიეღწია თავისი მიზნისთვის, უბრალოდ, ვალდებული იყო, მოეძებნა ორიგინალური ფორმები იმ შინაარსის გადმოსაცემად, რის გადმოცემაც მას სურდა.

– ამჟამად ეს სტილი რამდენად გამოდგება?

– რასაკვირველია, მინისტრის რანგში მას აქვს აბსოლუტურად სხვა ამოცანები, მაგრამ ეს ფორმის ორიგინალობა მას გადმოჰყვა წინა ცხოვრებიდან და, რადგან ეს იწვევს საზოგადოების გაღიზიანებას, ალბათ, თვითონ მოახდენს კორექციას. არ ვიცი, რას გადაწყვეტს, ეს მისი საქმეა, მაგრამ, შინაარსს თუ დავუბრუნდებით, შინაარსობრივად არ შეიძლება, არ მოგვწონდეს ის, რომ პროგრამები უნდა გამარტივდეს, წიგნები შეიცვალოს, ჩანთა დამსუბუქდეს, სწავლის შინაარსი შეიცვალოს და ორიენტირებული იყოს უნარჩვევებზე და არა დაზეპირებაზე. არ შეიძლება, ადამიანს სკოლა ასწავლიდეს იმისთვის, რომ მან ტესტში რაღაც სწორი პასუხი შემოხაზოს, იმიტომ რომ ეს მთლიანად ანგრევს სწავლისა და შემეცნების პროცესს. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მისაღებია, უბრალოდ, არის ერთი სერიოზული პრობლემა.

– რაში მდგომარეობს ეს პრობლემა?

– პირადად ჩემთვის პრობლემა არის ის, რომ მე ვერ ვხედავ მთლიან ხედვას იმისას, როგორ უნდა შეიცვალოს ეს სფერო. ვგულისხმობ როგორც სკოლამდელ, ისე სასკოლო, საუნივერსიტეტო განათლებასა და მეცნიერებას, ისე, რომ ჩამოყალიბდეს ერთიანი, ახალი სააზროვნო სივრცე, რაზეც საუბარი იყო გია დვალისა და მისი ჯგუფის კონცეფციაში. იმ კონცეფციაში მე ძალიან კარგად და სისტემურად ვხედავდი, რა ტიპის გარდაქმნები იყო ჩაფიქრებული, რათა საბოლოოდ მიგვეღო მთლიანი პროდუქტი, როგორც ერთიანი, ახალი სააზროვნო სივრცე, თვისობრივად უფრო ღრმა და უფრო მაღალი ხარისხის, ვიდრე დღეს არის.

– იზიარებს ამ ხედვას ალექსანდრე ჯეჯელავა?

– იმას, რომ თვისობრივად შეიცვალოს მთლიანი სისტემა, დღეს ერთიანობაში ვერ ვხედავ. ჯერჯერობით ვხედავ ცალკეულ განცხადებებს, რომლებსაც ვეთანხმები. დიახ, ძალიან კარგი იქნება, თუ ეს ყველაფერი მოხდება. თუკი მთლიანი რეფორმა განხორციელდება, ეს მოგვცემს სრულიად ახალ პროდუქტს, აბსოლუტურად სხვა ხარისხისას და ბევრად უფრო კონკურენტუნარიან და დახვეწილ სააზროვნო სივრცეს, ვიდრე გვაქვს დღეს.

– როგორია დღევანდელი მიდგომები?

– უფრო ზუსტი პროგრამა უნდა დადონ, როგორ ხედავენ მთლიანობაში პროცესს. კი ბატონო, მთლიანობაში გასაგებია დღევანდელი მიდგომა და ოთხპუნქტიან გეგმაშიც ეს წერია, რომ ცოდნა უფრო მეტად უნდა მოერგოს ბაზრის

მოთხოვნებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

როდესაც ცოდნა ბაზრის პრინციპს არის მორგებული, ის ვერასდროს იქნება მაღალი ხარისხის და, რაც მთავარია, მრავალფეროვანი. რაც შეეხება ძალიან მაღალი ხარისხის ცოდნას, ჯერ ეს ცოდნა უნდა შეიქმნას და ამან უნდა წამოიყოლოს მერე ბაზარი, ანუ თვითონ მაღალი ხარისხის ცოდნამ უნდა შექმნას ახალი ტიპის ბაზარი და სამუშაო ადგილები. ეს არის სწორედ ის, რაც ჩაფიქრებულია ქუთაისსა და თბილისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და კოლაიდერის სახით. ამაში სახელმწიფო სახსრები არ იხარჯება. ასე რომ, თუ სახელმწიფო თავის რესურსს მიმართავს იქითკენ, რომ ცოდნა მოერგოს ბაზარს და, მეორე მხრივ, კერძო ინვესტიცია ჩაიდება იმაში, რომ შეიქმნას ისეთი ცოდნა, რომელიც შექმნის ახალ ბაზარს, ეს იქნება იდეალური ჩვენი ქვეყნისთვის! ვნახოთ, როგორ განხორციელდება ეს ყოველივე. რადგან საუბრობენ ცალ-ცალკე ამის თაობაზე, ე.ი. ვიღაცას გააზრებული აქვს ეს პროცესი. მე ველოდები სიახლეებს ამ კუთხით. პრემიერმაც პარლამენტში თავისი გამოსვლა დაიწყო განათლების რეფორმით და მან მესამე ადგილიდან პირველზე გადმოინაცვლა.

– ია, თქვენი ფეისბუქსტატუსი საზოგადოებამ ისე გაიგო, რომ თითქოს დაიცავით ელენე ხოშტარია თეა წულუკიანისგან, როდესაც დაწერეთ, რომ მეორე კლასიდან სკოლის დამთავრებამდე მისი მასწავლებელი იყავით, რომ ის ძალიან კარგი მოსწავლე იყო და უამრავი წიგნი აქვს წაკითხული. ასეა? რამ განაპირობა თქვენი მხრიდან ასეთი სტატუსის დაწერა?

– ელენე ხოშტარია ნამდვილად არის ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანი, ისევე, როგორც ყველა, ვისაც მე ათი წლის განმავლობაში ვასწავლიდი. როდესაც საუბარი იყო იმაზე, რომ მას ჰქონდა რთული პერიოდი ბავშვობაში და არ კითხულობდა წიგნებს, დროს ფლანგავდა ცუდ საქმეებში, რა თქმა უნდა, ასე არ იყო. მე დავწერე სიმართლე. არ შემეძლო, ეს არ დამეწერა. ადამიანი ჩემ თვალწინ იყო ათი წლის განმავლობაში და ძალიან ბევრს შრომობდა იმისათვის, რომ თავისი ცუდი თვისებები დაეძლია და ყოფილიყო წარმატებული. ასეთი წამოძახების შემდეგ, უბრალოდ, გამიჩნდა სურვილი, დამეწერა ის, რაც დავწერე. ელენეს დაცვა არ ჩამიფიქრებია, დავწერე ის, რაც იყო სიმართლე.

განათლების კომიტეტის თავმჯდომარე მზად არის, „აუდიტორია 115“-ის წევრებს შეხვდეს

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში მზადყოფნას გამოთქვამს, 28 ნოემბერს „აუდიტორია 115“-ისა და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს შეხვდეს.

როგორც ჯაშმა აღნიშნა, ეს შეთავაზება მან 3 დღის წინ პირდაპირ ეთერში გააკეთა. „პირდაპირ ეთერში მე პირადად შევთავაზე „აუდიტორია 115“-ის წევრებს, დავსხდეთ ერთობლივი კონსულტაციების მაგიდასთან. უმჯობესია, ორივე მხარე იყოს წარმოდგენილი, როგორც სტუდენტური თვითმმართველობა, ასევე „აუდიტორია 115“, რათა შეჯერდეს პოზიციები. მე მზად ვარ, ორშაბათს, როდესაც დავბრუნდები თბილისში, კომიტეტის სამუშაო ოთახში, პარლამენტში შეხვდე მათ“, – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

რაც შეეხება თსუ-ში მიმდინარე მოვლენებს, ჯაშის განმარტებით, უკვე ჩატარებული არჩევნების ლიგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დადგება.

– ყველაფერი ჩატარდა არსებული კანონმდებლობითა და დებულებებით. დღეს მე მინდა მივულოცო, მიუხედავად სერიოზული დაბრკოლებებისა, არჩევნების დასრულება თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტს, რათა უნივერსიტეტი ჩვეულ რეჟიმში სასწავლო პროცესს დაუბრუნდეს, – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

ინტერპრესნიუსი

მიხეილ სააკაშვილი: „ბარიგების ერთმა ჯგუფმა უკრაინა საკუთარ კანტორად აქცია“

უკრაინაში, დედაქალაქ კიევის ცენტრში მიმდინარე აქციის მონაწილეებს ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით მიმართა. სააკაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება ოლიგარქების გავლენაზე გაამახვილა და განაცხადა, რომ ოლიგარქების მისდამი სიძულვილი შიშს უკავშირდება.

– მადლობა, რომ ქუჩაში გამოხვედით, აქციის დისკრედიტაციის ორკვირიანი მცდელობის მიუხედავად. ხელისუფლება, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, პრეზიდენტი და პარლამენტი ურცხვად იტყუებიან, როდესაც ყველას, ქუჩაში გამომსვლელებს, კრემლის აგენტობას აბრალებენ.

მიმოიხედეთ, თქვენ რა, აქ უკრაინის მტრებს ხედავთ?! თქვენ ხედავთ ადამიანებს, რომლებისთვისაც მიმართულების შეცვლა შეუძლებელია. ხედავთ იმ ადამიანებს, რომლებმაც გადაწყვიტეს, იცხოვრონ უკეთეს ქვეყანაში და არ დაემორჩილონ ტყუილს. ჩვენ აუცილებლად გავხდით უკრაინას დიდებულს, რადგან ის ამას იმსახურებს.

შეხედეთ, მსხვილი ბარიგების ერთმა ჯგუფმა როგორ აქცია უკრაინა საკუთარ კანტორად. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ისინი მეთოდურად ქურდავდნენ მთელ ქვეყანას, საკუთარ კონტროლს უქვემდებარებდნენ ყველა ტელეკომპანიას და ყიდულობდნენ მთელ პოლიტიკურ ელიტას. ისინი წყვეტენ, ვინ გახდება შემდეგი ლიდერი, ვინ მოიშორონ და ვინ გაანადგურონ.

მათი მთავარი პრინციპია, ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილებისას შეინარჩუნონ გავლენა ხელისუფლებაზე. საბოლოო ჯამში, მათ ჩვენი ქვეყანა ხელში უჭირავთ და ასე აპირებენ კიდეც გაგრძელებას, რადგან მათი ზემოქმედება იმდენად დიდია, რომ ხელს უშლის ქვეყნის პოტენციალის გამოყენებას და იმის ნაცვლად, რომ ეს პოტენციალი ხალხს მოხმარდეს, მათ გამდიდრებას ემსახურება.

თქვენ არ გეჩვენებათ, თუ ფიქრობთ, რომ უკრაინა

რომელიღაც მოჯადოებულ წრეში გაიჭედა, საიდანაც თავის დაღწევას ვეღარ ახერხებს. ეს არის კორუფციის, განუკითხაობის, ქაოსის, ხალხის დაცინვის მოჯადოებული წრე და ის მართლა არსებობს. ეს „ბარიგების“ მცირე ჯგუფის საპარტნიორო წრეა, რომლებმაც უკრაინის პრივატიზება მისი დამოუკიდებლობის მომენტიდან მოახდინეს. აი, რა ჭაობში გაიჭედა უკრაინა.

დროა, ხალხმა ხმა აიმაღლოს, თქვას, რომ ქვეყანა მათი შეხედულებისამებრ უნდა განვითარდეს, ხელისუფლება კი სწორედ ხალხის წინაშე აგებს პასუხს და არა ოლიგარქების. დროა, ბედის ბორბალი უკუღმა დავატრიალოთ. ახლა მათ ოჯახებში მივა ცუდი ამბები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენ, მათ შორის მეც, მოვალთ პოლიტიკაში. არ მიკვირს, რომ მათ ვძულვარ და ჩემი ქვეყნიდან გაძევების გეგმებს სახავენ. მათი სიძულვილის მთავარი მიზეზი შიშია, რომ ჩემს მოსყიდვას ვერ ახერხებენ, – განაცხადა სააკაშვილმა.

მან უნდობლობა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსაც გამოუცხადა.

ინტერპრესნიუსი

ვახტანგ ძაბირაძე: „პარლამენტში დაპირისპირება ნაციონალებსა და პატრიოტთა ალიანსს შორის იქნება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტში შესულ პოლიტიკურ ძალებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, როდესაც პირველად შეიკრიბა მე-9 მოწვევის პარლამენტი, გიორგი კვირიკაშვილმა განცხადება გააკეთა, რომ მათი მიზანია, ნორმალური პოლიტიკური პროცესი წარიმართოს პარლამენტში. როგორი იქნება ახალი პარლამენტი? ჩვენ უკვე ვნახეთ მძაფრი დაპირისპირება ნაციონალებსა და „ქართულ ოცნებას“ შორის, როდესაც მთავრობა დაამტკიცეს.

– პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლებას აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა. ეს ფაქტი იმიტომ გავიხსენე, რომ ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრაში, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს პარლამენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას შეუძლია, არა მხოლოდ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაიტანოს ნებისმიერი საკითხი, აღარ ვლაპარაკობ ორგანულ კანონებზე, არამედ შეუძლია, კონსტიტუცია გადასინჯოს. ეს ყველაფერი შეუძლია გააკეთოს, მიუხედავად იმისა, რას იტყვის ოპოზიცია და როგორი იქნება მისი პოზიცია. დიახ, მწვავე დაპირისპირება იყო. ეს არის პარლამენტის დანიშნულებაც. იქნება მძაფრი დებატები, რომლის გარეშეც პარლამენტი წარმოუდგენელია, მაგრამ, ალბათ, არ იქნება ზღვარს გადასული დებატები, ურთიერთშეურაცხყოფაში გადასული ლანძღვა-გინება. შეიძლება, ამას გულისხმობდა გიორგი კვირიკაშვილი, როდესაც კონსტრუქციულობაზე საუბრობდა.

– მართლაც შეიძლება, მხოლოდ აკადემიური დებატებით შემოიფარგლოს პარლამენტში, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობისა და პატრიოტთა ალიანსის დაპირისპირება?

– გულწრფელად რომ გითხრათ, ამის მოლოდინი ნამდვილად არ მაქვს. უკვე აშკარად ჩანს, რომ პატრიოტთა ალიანსი უფრო მეტად დაუპირისპირდება ნაციონალურ მოძრაობას, ვიდრე ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში სახელისუფლებო პარტია „ქართულ ოცნებას“. დებატები, დაპირისპირება სწორედ ნაციონალებსა და პატრიოტთა ალიანსს შორის იქნება. პირველივე სხდომებზე, დებატებზე უკვე ნათლად გამოჩნდება, თუ როგორი პარლამენტი გვეყოლება ოთხი წლის განმავლობაში.

– თქვენ როგორი მოლოდინი გაქვთ?

– წინა პარლამენტისგან დიდად განსხვავებული არ იქნება, არ იქნება იმ საპარლამენტო ტრადიციებიდან ამოვარდნილი, რომელიც აქამდე გვქონდა, ვგულისხმობ როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეს. ალბათ, განსხვავებული ეს პარლამენტი მაინც ვერ იქნება.

– ნაციონალური მოძრაობა როდესაც ხელისუფლებაში იყო, მახსოვს, როგორ ითხოვდა ოპოზიციისგან კონსტრუქციულობას. დღეს რამდენად იქნება თავად კონსტრუქციული ოპოზიცია?

– სიმართლე გითხრათ, რას ნიშნავს „კონსტრუქციული“ ოპოზიცია, არავინ იცის. არადა, ამოვიჩემეთ „კონსტრუქციული ოპოზიცია“. 2009 წლის მოვლენებს თუ გავიხსენებთ, მაშინ ოპოზიცია ძირითადად ქუჩაში იყო და ქუჩის აქციებს წარმართავდა. მაშინ ოპოზიცია პარლამენტში არ ყოფილა. თავისთავად, არაკონსტრუქციული ქუჩის აქციებში არაფერია. ეს არის პოლიტიკური ცხოვრების ისეთივე შემადგენელი, როგორიც დანარჩენი დემოკრატიული მეთოდები და გზები. ოპოზიციის ძირითადი დანიშნულება ხელისუფლების კრიტიკაა და ამაში უცნაური არაფერია. რაც შეეხება ლანძღვა-გინებას, ეს არათუ კონსტრუქციულობაა, არამედ უზნეობაა. დღევანდელი მოცემულობით, რაზეც მეკითხებით, დღევანდელ ოპოზიციას, გარდა კრიტიკისა, სხვა არც არაფერი შეუძლია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რადგან მმართველ ძალას საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს და, როგორც უნდა, ისე წარმართავს ამ შესაძლებლობას. ოპოზიცია ვერც კანონპროექტს შეაფერხებს და ვერც საპარლამენტო პროცესს. ოპოზიცია თუ ხელისუფლების ქებით დაკავდება, მაშინ ჩათვალეთ, რომ ქვეყანაში ოპოზიცია არ არსებობს.



– ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ პარლამენტში საქმიანობას ქუჩის აქციებთან კომბინაციაში აპირებენ.

– არა მგონია, ნაციონალური მოძრაობა დუმილით შეხვდეს ყველაფერს და არ გააპროტესტოს. ნამდვილად არ იქნება მოულოდნელი, ქუჩის აქციები დააანონსონ და გამართონ კიდეც. ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს, არჩევნების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ პოლიტიკურ ჯგუფს ნახევარი მილიონი ამომრჩეველი უჭერს მხარს. რატომ უჭერს მხარს? ვინ აღიქვამს ამ ინფორმაციას სწორად ან არასწორად, ეს უკვე სხვა საკითხებია. რეალობა არის ასეთი – პარლამენტში შევიდა ძალა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარმილიონიანი მხარდაჭერა აქვს. თუ არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას და, როგორც ვიცი, არ დგას, მაშინ ეს რეალობა ყველამ უნდა აღიაროს.

სოსო მანჯავიძე: „ხალხს რეფერენდუმის უფლება არ უნდა წაართვან“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა დედაქალაქის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ სოსო მანჯავიძეს

– მალე შეიქმნება საკონსტიტუციო კომისია, რომელიც მოამზადებს ცვლილებებს საქართველოს კონსტიტუციაში. მოელით თუ არა, რომ ამ საკითხებს შორის იქნება ქორწინების განმარტებაც? ამ თემაზე თქვენ და საინიციატივო ჯგუფის სხვა წევრებმა მოსახლეობაში ხელმოწერები შეაგროვეთ.

– ამის იმედი მაქვს. მგონია, რომ ეს პარლამენტი შეიტანს კონსტიტუციაში ჩანაწერს, რომლის თანახმად, ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა. პრობლემას ახლა სხვა რამეში ვხედავ. ესაა რეფერენდუმის უფლება. პრეზიდენტის ერთი ბრძანებულება ამ უფლებას ლახავს. ვაპირებ, პრეზიდენტ მარგველაშვილის ეს ბრძანებულება საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრო.

– გიორგი მარგველაშვილმა თავისი უარით ამ თემაზე რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე საეჭვო გახადა რეფერენდუმებში ხალხის მონაწილეობა?

– დიახ. მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა საინიციატივო ჯგუფმა 200.000-ზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა. მოვითხოვდით რეფერენდუმის დანიშვნას. ცესკომ ხელმოწერების ნამდვილობა დაადასტურა, პრეზიდენტმა კი თავისი ბრძანებულებით რეფერენდუმზე უარი თქვა. მისი განმარტებების შინაარსი ასეთი იყო – რეფერენდუმი ვერ ჩატარდება ტერიტორიული

მთლიანობის აღდგენამდე; რეფერენდუმის შედეგები ვერ აისახება კანონმდებლობაში; საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ მოესწრება პროცედურულად, ანუ ერთ თვეში. ამ ბრძანებულებამ დაბრკოლებები შეუქმნა საერთოდ რეფერენდუმებს. არადა, სარეფერენდუმო საკითხი ბევრია. პირადად მაქვს რამდენიმე პროექტი მომზადებული. იქმნება პარადოქსული სიტუაცია. მაგალითად, რომ გვინდოდეს რეფერენდუმის მოწყობა თემაზე, სურს თუ არა მოსახლეობას აფხაზეთან ერთად ცხოვრება, ამას ვერ გავაკეთებთ. ერთ-ერთი აბსურდული არგუმენტი ასეთია – საქართველოს იურისდიქცია ყველგან არ ვრცელდება. პრეზიდენტის ბრძანებულება არასწორია. ის უნდა დაიძლიოს. უამრავი საკითხია რეფერენდუმზე გამოსატანი. ეს ის საკითხებია, რომლების გადაწყვეტასაც ეწინააღმდეგებიან ინტერესთა ჯგუფები, არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე პირები პარლამენტსა და მთავრობაში.

„სააკაშვილი აშშ-ში მოვლენების განვითარებას ელის“

– პრეზიდენტის უარის შემდეგ პლებისციტის ჩატარების საკითხიც დაისვა.

– პლებისციტს კანონმდებლობით ნიშნავს პრემიერი, თუმცა შეიქმნა სხვაგვარი რეალობა და პლებისციტის საჭიროება მოიხსნა. გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხს პარლამენტი მიხედავდა. მას მაშინ იმედი ჰქონდა, რომ 2016 წლის მოწვევის პარლამენტში „ქართულ ოცნებას“ ექნებოდა უმრავლესობა. ახლანდელ პარლამენტში „ოცნებას“ აქვს ასეთი უმრავლესობა. გიორგი კვირიკაშვილმა ყურად იღო ხალხის აზრი, მაგრამ პლებისციტი საჭიროდ აღარ მიიჩნია. მან ისიც კი თქვა, რომ 200.000-ზე მეტი ხელმოწერა, ფაქტობრივად, პლებისციტია. გულდასაწყვეტია, რომ ქვეყნის მთელი ყურადღება მიპყრობილია არა პრობლემებისაკენ, არამედ, უსაგნო ოპონირებისა და კინკლაობისაკენ. „ქართული ოცნება“ გარანტირებულად იმარჯვებს ნაციონალურ მოძრაობასთან შეჯახებაში, მაგრამ, ხომ არ შეიძლება, ეს სპორტის სახეობად აქციო! სულ წყენის გახსენებასა და გულის ფხანაში ხომ არ უნდა იყოს საზოგადოება! ფხანა ქეციან გულს სჭირდება. ილია ამბობდა, ფხანა ქეცმა იცისო. სამწუხაროდ, საზოგადოება ამ სანახაობით ერთობა.

– ფიქრობთ, რომ ხალხს აინტერესებს „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის შერკინებები?

– საუბედუროდ, საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს ეს იზიდავს. კინკლაობა გრძელდება ახალ პარლამენტშიც.

– ქორწინების დეფინიციის საკითხს დავუბრუნდეთ. საზოგადოებაში არიან ჯგუფები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კონსტიტუციაში ამ ჩანაწერის გაკეთებას აზრი აქვს მაშინ, თუ გაუქმდება ანტიდისკრიმინაციული კანონი.

– ყველაფრით უკმაყოფილება რადიკალების თვისებაა. ამ საკითხების ერთმანეთთან მიბმა გაუგებარია. რადიკალიზმმა მარცხი განიცადა ლიბერალიზმშიც. რადიკალური ლიბერალიზმი კვდება. ეს მსოფლიო ტენდენციაა, თუმცა ჩვენი ლიბერალური ტელემედია აგრძელებს ადრინდელ რადიკალიზმს და ცვლილებებს ვერ გრძნობს.

– სააკაშვილი თუ გააგრძელებს თავისი მედიასაშუალებების დაფინანსებას?

– სააკაშვილს არ დაუკარგავს ინტერესები საქართველოს პოლიტიკის მიმართ. ამისათვის მას სჭირდება მედიაც. მისი მედიასაშუალებები რადიკალურად ლიბერალურია. სააკაშვილი ყურადღებით ადევნებს თვალს აშშ-ში მიმდინარე მოვლენებს. იმ ქსელმა, რომელსაც სააკაშვილი წარმოადგენს, მარცხი განიცადა აშშ-ის არჩევნებში. ამერიკაში დიდი ენებათაღელვაა: ვისკონსინში ხმებს გადაითვლიან, მოსალოდნელია საპროტესტო აქციებიც. ლიბერალებს ძალიან დიდი დაფინანსება აქვთ. ისინი დამარცხებას არ ეგუებიან. მოვლენების განვითარებას აკვირდება სააკაშვილიც.

ირაკლი კობახიძე: „ბიუჯეტის განხილვა უახლოეს პერიოდში მოხდება“

– ბიუჯეტის განხილვა ჩვენი უახლოესი დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი იქნება – განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

როგორც კობახიძემ განმარტა, პარლამენტში ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი განსახილველად უახლოეს დღეებში შევა.

– ჩვენ წლის ბოლომდე დავამტკიცებთ ამ დოკუმენტს, გარდა ამისა, დავიწყებთ მუშაობას ჩვენს სამუშაო გეგმაზე. ორშაბათს ბიუროს სხდომაზე უკვე განიხილება პირველადი გეგმა, ის კანონპროექტები, რომელთა განხილვა განახლდება უახლოეს მომავალში, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

რაც შეეხება საკონსტიტუციო კომისიას, ირაკლი კობახიძის განმარტებით, ამასთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში გაგრძელდება კონსულტაციები.

– ამ კონსულტაციების საფუძველზე დაფუძნდება კონკრეტული ფორმატი, რომლის ფარგლებშიც განიხილება თითოეული ის ცვლილება, რომელიც შეიძლება შევიდეს კონსტიტუციაში, – განაცხადა კობახიძემ.

ინტერპრესნიუსი

სოზარ სუბარი: „დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, იყო საქართველოს მთავრობის წევრი“

– დიდი პატივია და პასუხისმგებლობაც, იყო საქართველოს მთავრობის წევრი და განახორციელო ის ამოცანები, რომლებსაც ქართველი ხალხი ჩვენგან ელოდება.

ამის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა ქუთაისში, პარლამენტში განაცხადა, სადაც პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

როგორც სოზარ სუბარმა აღნიშნა, მომდევნო 4 წელი წინა 4 წლისგან განსხვავებული იქნება და ფოკუსი სწრაფ განვითარებაზე გაკეთდება.

– დიდი პატივია და პასუხისმგებლობაც, იყო საქართველოს მთავრობის წევრი და განახორციელო ის ამოცანები, რომლებსაც ქართველი ხალხი ჩვენგან ელოდება. ამოცანები არის ძალიან სერიოზული, იმიტომ რომ რეალურად ქვეყანა ფეხზეა დასაყენებელი. მომდევნო ოთხი წელი წინა 4 წლისგან განსხვავებული იქნება, რადგან წინა წლებში ფოკუსი იყო სოციალური პრობლემების გადაჭრაზე, ხოლო შემდეგი 4 წელი იქნება სწრაფ განვითარებაზე, რათა თითოეულმა ოჯახმა იგრძნოს კეთილდღეობა. ეს არის მთავარი ამოცანა. რაც შეეხება პრიორიტეტებს, ეს იქნება განათლება, ქვეყნის ყველა რეგიონის ერთდროულად განვითარება და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომელიც საფუძველს შეუქმნის ეკონომიკის განვითარებას, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ქართველი ტურისტები ახალი წლის გატარებას ევროპაში არჩევენ

ტურისტული კომპანიების დიდი ნაწილი, რომლებსაც „კომერსანტი“ ესაუბრა, უცხოეთის საახალწლო ტურებზე მაღალი მოთხოვნის არსებობაზე საუბრობს.

როგორც აღმოჩნდა, წელს ქართველები ახალი წლის გატარებას ყველაზე მეტად ევროპის მიმართულებით აპირებენ. საქართველოში ახალი წლის შეხვედრა კი ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლებს უნდათ.

ტურისტული კომპანია „გუდ თრეველის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სალომე გორგოძე აცხადებს, რომ საახალწლო-საშობაო პერიოდში ქართველები ძირითადად ევროპის მიმართულებებით ინტერესდებიან. არანაკლებ მოთხოვნადია დუბაიც.

– 500 ევრომდე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში შესაძლებელია დასვენება. აქედან გამომდინარე, მოთხოვნაც გაზრდილია, – აცხადებს გორგოძე.

მისი თქმით, ახალ წელს საზღვარგარეთ შეხვედრაზე მოთხოვნა გასულ წელთან შედარებით გაზრდილია, თუმცა, გამოკვეთილია ერთი

ტენდენციაც. კერძოდ, ქართველებმა ტურების დაგეგმვა ტურისტული კომპანიების გვერდის ავლით დაიწყეს.

რაც შეეხება შემომყვან ტურიზმს, როგორც გორგოძე აცხადებს, სერიოზული მოთხოვნაა საახალწლო გალავახშმებზე.

მისი ინფორმაციით, უცხოელებს აუცილებელი პირობა აქვთ, რომ ახალი წლის ღამეს სასტუმროში გალავახშამს დაესწრონ. როგორც გორგოძე აცხადებს, საქართველოში ახალი წლის გატარებით უკრაინელები, პოლონელები და აზერბაიჯანელები ინტერესდებიან.

„ჯორჯიან თრეველ გრუპის“ ხელმძღვანელი ნატა რუხაძე ამბობს, რომ საკმაოდ პოპულარულია ტურები ევროპის მიმართულებით. მათ შორისაა იტალიის და ბუდაპეშტის ტურები. როგორც რუხაძე ამბობს, არანაკლებ პოპულარულია ტაილანდის ტურები, რადგან ავიაკომპანია „ყატარს“ წელს ძალიან კარგი ფასდაკლებები ჰქონდა.

ფასი ევროპასთან შედარებით ძვირია, თუმცა, როგორც ახალი მიმართულება, პოპულარულია ტურები ინდონეზიაში. რუხაძის განმარტებით, 4 კაციანი ოჯახი (2 დიდი და 2 პატარა) საშუალოდ სასტუმროში 1.300 დოლარად დაისვენებს. ამას ემატება ფრენები, სადაც ორივე გზა 700 ევრო ჯდება.

როგორც რუხაძე ამბობს, ასევე დიდი მოთხოვნით სარგებლობს ანტალიის ტურებიც.

რაც შეეხება ტურების გაყიდვის დინამიკას, წელს გასულ წელთან შედარებით გაყიდვების რაოდენობა იდენტურია. „ჯორჯიან თრეველ გრუპში“ ამბობენ, რომ წელს საქართველოში ახალი წლის გატარება რუსებს და ზოგადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ტურისტებს უნდათ. მათ შორისაა, ახალი წლის შეხვედრა თბილისში, ბათუმში და ზამთრის კურორტებზე.

წელს სასტუმროებმა ფასები შედარებით შეამცირეს, რაც გაყიდვების ზრდაზე აისახა.

ტურისტული კომპანია „სთარ თრეველის“ ხელმძღვანელ თათია სუხიტაშვილის ინფორმაციით, საახალწლო-საშობაო პერიოდში საკმაოდ მოთხოვნადია საფრანგეთის, ჩეხეთისა და იტალიის ტურები.

აღნიშნულ მიმართულებებზე დასვენება 1 კაცზე საშუალოდ 400-500 ევრო ჯდება. დიდია ინტერესი ეგზოტიკურ ქვეყნებზეც.

როგორც სუხიტაშვილი ამბობს, საახალწლო-საშობაო პერიოდში მოთხოვნა გასულ წელთან შედარებით ბევრად გაზრდილია.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

დიმიტრი ქუმსიშვილი: „ჩვენი ეკონომიკა ლარით უნდა იყოს დაკრედიტებული“

– ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ ჩვენი ეკონომიკა დაკრედიტებული იყოს ეროვნული ვალუტით და ნაკლებად იყოს დამოკიდებული ვალუტის რყევებზე, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა პარლამენტში გამოსვლისას.

მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტსა და მისი შევსების წყაროებზე.

ქუმსიშვილის განცხადებით, პირველი ორი კვარტლის მონაცემით, 10.6%-ით გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წინა წელთან შედარებით, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. ამავდროულად, მთავრობა წლის ბოლომდე ელოდება 1.6 მილიარდ აშშ დოლარზე მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას, რაც საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე მეტი იქნება და დადებითი მაჩვენებელია.

ფინანსთა მინისტრი, ასევე, შეეხო უცხოეთიდან ფულადი გზავნილების საკითხს, რაც ლარის გამყარების კიდევ ერთი მიმართულებაა. ამ კუთხით ტენდენცია დადებითია. ფულადი

გზავნილები, ძირითადად, შემოდის რუსეთიდან, საბერძნეთიდან და სხვა მიმართულებებიდან. ბოლო სამი თვის განმავლობაში სახეზეა მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები, რაც დადებითად აისახება ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე.

დიმიტრი ქუმსიშვილმა ყურადღება გაამახვილა ორ ფაქტორზე, რომლებიც ასევე მოქმედებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე. მისი თქმით, ბოლო პერიოდში კომერციულ ბანკებში შეინიშნება სამომხმარებლო სესხების 20%-იანი ზრდა. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ბიუჯეტის თანაბარი ხარჯვა.

– წელს ჩვენ ბიუჯეტის თანაბარი ხარჯვა გვაქვს და შემდეგ წლებშიც აღნიშნული პოლიტიკა გაგრძელდება, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

მისივე განცხადებით, მთავრობა აქტიურად მუშაობს აზიის ბაზრებთან იმისთვის, რომ ინდუსტრიული სიმძლავრეების გადმოტანა სწორედ საქართველოში მოხდეს.

ქუმსიშვილის განცხადებით, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს უმსხვილეს კორპორაციებთან ჩინეთის, მათ შორის, შანხაისა და სხვა რეგიონებიდან, რათა მათ სწორედ საქართველოში გადმოიტანონ საკუთარი საწარმოო სიმძლავრეები.

ეს საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, რომ საკუთარი პროდუქცია ევროპასა და სხვა რეგიონების მიმართულებით გაიტანოს და ამით ქვეყანამ დამატებითი სავალუტო შემოსავალი მიიღოს.

ნიუპოსტი

ბაზარზე 15-ლარიანი ჩინური სიგარეტი გამოჩნდა

ქართულ ბაზარზე ჩინური სიგარეტი ჩუნგვა გამოჩნდა, რომლის ერთი კოლოფი 15 ლარი ღირს.

მასობრივი მოხმარების თამბაქოს ნაწარმს შორის ეს ყველაზე ძვირადღირებული სიგარეტია.

პროდუქცია ძირითადად ლოტოს ჯიხურებში იყიდება. ჯიხურის გამყიდველებს ახალი, ძვირად ღირებული თამბაქოს შესახებ მწირი ინფორმაცია აქვს და მხოლოდ ის გვითხრეს, რომ სიგარეტი „საქართველოს ფოსტას“ შემოაქვს.

მათი ცნობით, ეს პროდუქცია ყველა ჯიხურში არ იყიდება და მხოლოდ შედარებით დიდ ჯიხურებშია მისი შეძენა შესაძლებელი.

ბიზნესპრესნიუსი „საქართველოს ფოსტასაც“ დაუკავშირდა, სადაც გვითხრეს, რომ სიგარეტი კერძო სადისტრიბუციო კომპანიას შემოაქვს და „საქართველოს ფოსტის“ კუთვნილი ჯიხურების ქსელის მეშვეობით ახდენს მის რეალიზაციას.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ახალი სიგარეტის შემომტან კომპანიასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.

საჯარო რეესტრში მოძიებული ინფორმაციით, ეს კომპანია 2013 წლის 11 იანვარს არის დარეგისტრირებული. კომპანიის დირექტორები გიორგი ჯაგასპანიანი და ჰონგ სონგი არიან, რომლებიც, შესაბამისად, კომპანიის 10% და 70%-იან წილებს ფლობენ. დანარჩენი 10-10%-იანი წილი კი არქან სიუსა და ვეი ჭანგს ეკუთვნით.

ქართულ ბაზარზე ჩუნგვას გამოჩენას სოციალურ ქსელში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა.

ზოგ მომხმარებელს ამ პროდუქციის რეალიზაციის კანონიერებასთან დაკავშირებითაც გაუჩნდა შეკითხვები.

ამ ეტაპზე მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ჩუნგვა მაღალი ხარისხის ჩინური სიგარეტია, რომელსაც შანხაის თამბაქოს ჯგუფი აწარმოებს.

ბიბიენი

თბილისში მიკროავტობუსების ტარიფის მატება არც ამჯერად არის მოსალოდნელი

თბილისის მერია მიკროავტობუსებით მგზავრობის საფასურის გაზრდას არ ელოდება.

ამის შესახებ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მერაბ მამულაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, 3 ნოემბერს თბილისში მოქმედმა მიკროავტობუსების კომპანიებმა მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს აცნობეს, რომ მომავალი წლიდან სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ტარიფის მატების საკითხს განიხილავენ.

როგორც თბილისის მერიიდან იუწყებიან, მერაბ მამულაშვილის განმარტებით, 2011 წელს თბილისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, მიკროავტობუსების კომპანიებს არა აქვთ ვალდებულება, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას მომსახურების ხარჯების გაანგარიშება ან ტარიფი შეუთანხმონ.

მამულაშვილის თქმით, ოპერატორ კომპანიებს მგზავრობის საფასურის შესაძლო მატების თაობაზე თბილისის

მერიისთვის ადრეც მოუმართავთ, მათ შორის მიმდინარე წლის გაზაფხულზე. თუმცა, როგორც მერაბ მამულაშვილმა განაცხადა, უკვე რამდენიმე წელია, რაც თბილისში მიკროავტობუსებში მგზავრობის ტარიფი უცვლელია და მისი მატება არც ამჯერად არის მოსალოდნელი.

ბიბიენი

შპს „ზიმომ“ წნორში 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტი ჩააგდო

2015 წელს ხელისუფლებამ რამდენჯერმე დააანონსა, რომ წნორის მოსახლეობას 24-საათიანი წყალმომარაგება ექნებოდა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ინფორმაციაც არაერთხელ გაავრცელა, რომ 24-საათიანი წყალმომარაგებისთვის 8 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯებოდა. სამუშაოები 2016 წელს უნდა დასრულებულიყო.

ნოემბერი თითქმის იწურება და ჯერ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ნახევარიც არ არის შესრულებული.

დაბა წნორის მოსახლეობის 50%-ს წყალი არ მიეწოდება და ის წყალს ყიდულობს, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს კი წყალი გრაფიკით აქვს, დღეში 1 საათით.

– ამ თვეში 80 ლარი გადავიხადე წყალში, ვიყიდე, ცისტერნებით მოაქვთ, – ამბობს წნორის მკვიდრი თამარ ძმანაშვილი.

– ყველა უბანში ეს ამბავია. ვის აღარ მივმართეთ, მაგრამ არანაირი შედეგი არ გვაქვს. საუბნო წყალი კი გვაქვს, მაგრამ მოდის გრაფიკით, დღეში ერთი საათი. მოვა ხან 100 ლიტრი, ხან 200 ლიტრი და კვირიდან კვირამდე ეს საკმარისი არ არის, – აღნიშნავს წნორში მცხოვრები ნათელა ფოლადაშვილი.

უწყლობა პრობლემებს უქმნის კომერციულ ობიექტებსაც და მათ ხარჯებს ზრდის.

– ჩვენ არც გრაფიკით გვაქვს წყალი. კაფეში ჭურჭელი რომ დავრეცხოთ, სანიტარიული წესები რომ დავიცვათ, კვირაში მინიმუმ ორჯერ ვყიდულობთ წყალს და 2 ტონაში 10 ლარს ვიხდით. გვპირდებოდნენ, რომ ჯერ კიდევ 2015 წლის ბოლოს უნდა გვქონოდა 24 საათიანი წყალმომარაგება, მაგრამ ახლაც არ გვაქვს და არც ის ვიცით, როდის გვექნება, – უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს წნორში მდებარე „ცოდნის კაფეს“ დამფუძნებელმა ნანა ბაგალიშვილმა.

უკვე რამდენიმე კვირაა, წნორში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც აღარ მიმდინარეობს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობაში აცხადებენ, რომ პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს და სავარაუდოდ, სამუშაოების შემსრულებელ კომპანიასთან კონტრაქტს შეწყვეტენ.

დაბა წნორში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებს შპს „ზიმო“ ახორციელებდა.

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება კომპანიასთან მუნიციპალური განვითარების ფონდმა, 2014 წელს ერთ პირთან პირდაპირი წესით მოლაპარაკების გზით გააფორმა.

ხელშეკრულების მიხედვით, შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 11.238.000 ლარს შეადგენდა. აღნიშნული პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხით დაფინანსდა. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 2014 წლის 1 სექტემბერს დაიწყო და 2016 წლის 1 ივლისამდე უნდა დასრულებულიყო.

მუნიციპალური განვითარების ფონდში კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუმარტეს, რომ შპს „ზი-

მოსთან“ კონტრაქტის შეწყვეტის პროცედურა მიმდინარეობს, რის შემდეგაც წნორში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების მიზნით ტენდერი ახლიდან გამოცხადდება. სავარაუდოდ, სამუშაოების დასრულებას კიდევ ერთი წელი დასჭირდება.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მონიტორინგის სამსახურის უფროს ლევან სუხიტაშვილის განმარტებით, მას შემდეგ, რაც კომპანია „ზიმოსთან“ კონტრაქტი გააფორმეს, დონორმა ორგანიზაციამ, ევროპის საინვესტიციო ბანკმა, პროექტის კორექტირება და ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა მოითხოვა.

– ჩვენ დავაკორექტირეთ პროექტი და 2016 წლის მაისის ბოლოს კონტრაქტორ კომპანიას გადავეცით შეცვლილი პროექტი, რომელიც ევროსტანდარტებს პასუხობს, – განაცხადა ლევან სუხიტაშვილმა.

– ევროპის საინვესტიციო ბანკი ამ პროექტს მას შემდეგ გაეცნო, რაც კომპანიასთან კონტრაქტი გააფორმეთ? მანამდე არ იცოდნენ რომ საბჭოთა ნორმებით იყო?

– დონორმა ორგანიზაციამ როცა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რომ გადავსულიყავით ევრონორმებზე, ჩვენც მაშინ გადავედით. პროექტი ბევრად გაუმჯობესებულია. კომპანიას რაღაც ფინანსური პრობლემები აქვს. ყოველდღიურად ვუკავშირდებით, ვთხოვთ ახსნას და ვერ გვაძლევენ საფუძვლიან განმარტებებს.

ჩვენ უკვე დავიწყეთ პროცედურები და ხელშეკრულება უნდა შევუწყვიტოთ შპს „ზიმოს“. ამის შემდეგ გამოცხადდება ახალი ტენდერი და მოხდება გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა, რასაც დასჭირდება დაახლოებით 4 თვე. სამშენებლო სამუშაოების დასრულებას კი დაახლოებით კიდევ 6 თვე სჭირდება. შპს „ზიმოს“ ჩატარებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებული აქვს, – განაცხადა ლევან სუხიტაშვილმა.

მუნიციპალური განვითარების ფონდი სამუშაოების შეუსრულებლობის და 2016 წლისთვის წნორის 24 საათიანი წყალმომარაგების პროექტის ჩაგდების მიუხედავად, შპს „ზიმოსთან“ დავის დაწყებასა და მის დაჯარიმებას არ აპირებს.

შპს „ზიმო“ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანიაა. სწორედ შპს „ზიმოს“ გადაეცა 2015 წლის ბოლოს აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით 6.200 ლარად შეკვეთილში მდგარი ასწლოვანი ხე ტიტა და ორი ჭაობის კვიპაროსი.

ასწლოვანი ხე ერთი თვის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის დენროლოგიურ პარკში გადარგეს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

პეტრე მამრაძე: „რუსეთთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს“

რის გაკეთება დაავალა პუტინმა სააკაშვილს

გულიკო ბალაძე

— დიახ, რუსეთი ერთობლივ საჯარისო ფორმირებას ქმნის სომხეთში, აფხაზეთსა და ცხინვალში.

— ძალიან დიდი სხვაობაა ფაქტობრივ მდგომარეობასა და ფორმალურად რასაც მოაწერენ ან არ მოაწერენ ხელს. არაფერი ახალი არ ხდება.

— გალის სამხედრო ქალაქად გამოცხადება და იქ ქართველების შევიწროება ახალი არ არის?

— სამხედრო ქალაქად ისედაც იყო გამოცხადებული. სამხედრო სივრცედ გადაიქცა მთელი აფხაზეთი. აფხაზეთი, ეფრეიტორ სააკაშვილის ღალატის შედეგად, რუსეთის ბაზის ტერიტორია გახდა. აფხაზეთის ტერიტორია დიდი არ არის და ამიტომ ძირითადად რუსეთის ბაზის ტერიტორიაა. ასე რომ, რას გამოაცხადებენ და რას არა, ეს მეორე პლანზე გადადის. შეიძლება, გაცილებით მეტი გააკეთონ, მაგრამ გაჩუმდნენ. შეიძლება, არაფერი მოიმოქმედონ, მაგრამ განცხადება გააკეთონ სამხედრო ქალაქსა და ერთობლივ საჯარისო შენაერთებზე. ეს უნდა განვასხვავოთ.

— ანუ რუსების ნათქვამსა და მოქმედებას შორის განსხვავებაა.

— ძალიან ხშირად, რადგან რეალურად, ფაქტობრივად, როცა გამოაცხადეს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნეს აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ (სააკაშვილმა მიართვა ლანგარზე), ჩააყენეს იქ მძლავრი სამხედრო ბაზები. ეს მხოლოდ გასაფორმებლად ითქვა, თორემ შინაარსი უკვე დამდგარი იყო. 2008-2009 წელსვე გააფორმეს ასზე მეტი ხელშეკრულება. ახლა რომელი პიარისთვის რას იტყვიან, დამდგარ ფაქტს აღარც რაიმეს უმატებს, აღარც აკლებს. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ისედაც უკვე რუსეთის სამხედრო ბაზების ტერიტორიაა, რომელიც რუსებმა სააკაშვილის პროაქტიური დახმარებით დაიკავეს. რუსეთს ასევე აქვს ბაზა გიურმიში. რუსებმა სომხეთს მიაწოდეს ისეთი რაკეტები, რომელთა რადიუსი 500 კმ-ზე მეტია. თვისობრივად არაფერი შეცვლილა 2008 წლიდან დღემდე.

— მაშინ, რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებები რატომ არ შეიძლება დაიწყოს?

— მოლაპარაკებები შეიძლება, მაგრამ, გაჩნია, რა სფეროში. მოლაპარაკება უაღრესად საჭიროა, მაგრამ რუსეთის მთავრობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებელ ქვეყნებად“ აღიარების გადაწყვეტილების უკან წაღების ან თავისი სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე საუბარს საერთოდ არ ისმენს და არც არავის ესაუბრება. როგორც კი ამაზე დაიწყება საუბარი, მოლაპარაკებას წყვეტენ. არც ამერიკას შეუძლია ამაზე მოლაპარაკება. არც ობამას დროს გამოუვიდათ რაიმე, არც ნატოს და არც საქართველოს. ეს თემა რუსეთისთვის დახურულია.

— იმაზე თუ შეიძლება მოლაპარაკება, რომ მუდმივი მცოცავი ანექსია და საზღვრის გადმოტანა არ ხორციელდებოდეს?

— ოცნების გამარჯვების შემდეგ ნაცებმა ატეხეს ყვირილი რომელიღაც მავთულხლართის გამო, არადა, 70% მავთულხლართებისა მათ დროს გაკეთდა და არავის ხმა არ ამოუღია.

— რატომ?

— მათ იცოდნენ, რომ ეყვირათ მავთულხლართებზე, ვერ შეაჩერებდნენ და თვითონ გაბითურდებოდნენ. ჟენევის მოლაპარაკებების დროს კარასინთან დასვეს მავთულხლართების საკითხი, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა, მე რატომ მელაპარაკებით, ჩვენ არაფერი საერთო არ გვაქვს იმ მავთულხლართებთან, არსებობს დამოუკიდებელი ოსეთის სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს თავისი სასაზღვრო ჯარები, არის ხელშეკრულება და ჩვენები, როგორც სპეციალისტები, ეხმარებიანო.

— ანუ კარასინმა ხელები დაიბანა.

— დიახ. კარასინმა თქვა, ჩვენთვის ცნობილია, რომ დამოუკიდებელი ცხინვალის მთავრობამ რამდენჯერმე მოგმართათ თხოვნით, აგერ არის ჩვენი სახელმწიფო საზღვარი, დავსხდეთ, მოვილაპარაკოთ როგორც დელიმიტაციაზე, ისე დემარკაციაზე (დელიმიტაცია ნიშნავს საზღვრის რუკაზე დატანას ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ხოლო დემარკაცია — მავთულხლართი იქნება თუ ბოძი (რომ არავინ გადავიდეს), ორივე მხარემ დააყენოს მოლაპარაკებით). დელიმიტაცია და დემარკაცია კი ნიშნავს აღიარებას. ეს სიტუაცია სააკაშვილმა შექმნა.

აბაშიძე-კარასინის ფორმატი გამოკვეთს სფეროებს, სადაც ნაყოფიერად მუშაობა შეიძლება, ოღონდ, ისე კი არა, სააკაშვილმა რომ იყვირა, იყვირა და მარჯვენა ხელით მთელ ობიექტებს რუსეთს ჩუქნიდა. არ დარჩენილა ენერგეტიკის ობიექტები, საბადოები თუ სხვა რამ ღირებული, სააკაშვილს რუსებისთვის რომ არ გადაეცა. გაზსადენი, რომელიც საქართველოდან სომხეთზე გადის და რკინიგზა ოპოზიციისა და უცხოეთის ძალისხმევით გადარჩა.

— ე.ი. რუსებს ჩვენთვის მტკივნეულ საკითხებზე მოსმენაც არ უნდათ.

— სამხედრო სფეროზე ჩვენს საუბარს არც მოისმენენ, პასუხი გამზადებული აქვთ და ყოველთვის მზად არიან, გაიმეორონ, როგორც დიპლომატიურ ურთიერთობაზე, ყოველთვის შეგვახსენებენ, თქვენ თვითონ გაწყვიტეთ დიპლომატიური ურთიერთობა, ჩვენ არ გაგვიწყვეტიაო. თუ გინდათ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, დაიწყეთ ეს პროცესი, ჩვენ ამას შევხედავთ, შეიძლება, მოვაწეროთ ხელი შეთანხმებებსაც, მაგრამ თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ ვაღიარეთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და თქვენც მოგიწევთ იმავეს გაკეთებაო.

— მაშინ, რის თქმა უნდათ რიგ პოლიტიკოსებს, რომლებიც მუდმივად დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობენ?

— მე ბევრჯერ ვამხილე რიგი პოლიტიკოსებისა, რადგან საუბარი რუსეთთან მოლაპარაკების აუცილებლობაზე წმინდა წყლის სპეკულაციაა. აცხადებენ, მე ჩავალ, მე დაველაპარაკები, მე ვიცი, როგორ უნდა დაველაპარაკოო. რეალურად, რუსეთის ხელისუფლება არც კი მოუსმენს იმ საკითხებზე, როგორებიც არის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების გადაწყვეტილების უკან წაღება და ამ ტერიტორიებიდან ჯარის გაყვანა.

„საფრანგეთის სავარაუდო პრეზიდენტი საქართველოს ნატოში მიღების წინააღმდეგ გამოდის“

რადიოსადგურმა „დოიჩე ველემ“ („გერმანულმა ტალღამ“) გაავრცელა ანალიტიკური მასალა საფრანგეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, რომელშიც გადმოცემულია 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე სავარაუდო კანდიდატების საგარეო პოლიტიკური ორიენტირები.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ პუბლიკაციის მოკლე შინაარსს.

* * *

საფრანგეთში მომავალ წელს საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. ამ ორიოდე დღის წინ კონსერვატორების საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის პრაიმერიზი გაიმართა, რომელმაც საკმაოდ მოულოდნელი შედეგი აჩვენა: ექსპრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, რომელიც თითქოსდა დღეს ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია, მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა (მან უკვე განაცხადა, რომ პოლიტიკიდან მიდის). პირველ ადგილზე გავიდა ფრანსუა ფიიონი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც პრორუსულ პოლიტიკოსად იცნობენ. მან საკმაოდ შორს ჩამოიტოვა თავისი ყოფილი კოლეგა, ექსპრემიერი ალან ჟიუპე. მოსალოდნელია, რომ იგი 27 ნოემბერს დაგეგმილი პრაიმერიზის მეორე ტურშიც გაიმარჯვებს და საბოლოოდ ფრანსუა ფიიონი პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატი გახდება.

მაინც რით გამოიხატება ფრანსუა ფიიონის რუსოფილობა? იგი ამბობს, რომ დასავლეთმა რუსეთის პრეზიდენტის კრიტიკა უნდა შეარბილოს და კრემლი მსოფლიო პრობლემების მოგვარებაში უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული.

ფრანსუა ფიიონის აზრით, საფრანგეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის პოლიტიკა რუსეთის მიმართ აბსურდულია, ხოლო ევროკავშირის სანქციები — ყოვლად გაუმართლებელი. გარდა ამისა, იგი სადაო საკითხად მიიჩნევს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას, რითაც რუსეთის პოზიციას უახლოვდება.

ფრანსუა ფიიონი საკმაოდ ხშირად დადიოდა მოსკოვში, როცა ვლადიმირ პუტინი პრემიერ-მინისტრი იყო. თავის მხრივ, რუსეთის ლიდერიც არაერთხელ შეხვედრია თავის ფრანგ კოლეგას პარიზში.

ფრანსუა ფიიონს დიდი წვლილი მიუძღვის „ავტოვაზის“ მოდერნიზებასა და რუსულ რაკეტმზიდ „სოიუზის“ ფრანგების მიერ შესყიდვაში. 2011 წელს ფრანსუა ფიიონი გერმანიაში გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადის“ საზეიმო გახსნასაც ესწრებოდა. ამ პროექტში ერთ-ერთი ფრანგული კომპანიაც არის ჩართული. უფრო ადრე კი, ნატოს ბუქარესტის სამიტის წინ (2008 წლის აპრილში), ფრანსუა ფიიონი საქართველოსა და უკრაინისთვის მაპის მიცემის წინააღმდეგ გამოვიდა, იმ მოტივით, რომ რუსეთსა და ევროპას შორის წონასწორობა შენარჩუნებულიყო.

კიდევ ერთი მომენტი, რომელიც, რადიო „დოიჩე ველეს“ მიხედვით, ფრანსუა ფიიონის რუსეთუმეობას ადასტურებს: საქართველო-რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომის შემდეგ იგი ევროკავშირისა და რუსეთის დიალოგის მომხრედ გამოდიოდა, თუმცა აღიარებდა, რომ „შესაძლოა, მოსკოვი კავკასიაში რამდენადმე ბრუტალურად (უხეშად) მოიქცა“.

გარდა ამისა, ფრანგი პოლიტიკოსი რუსეთისადმი სიმპათიებს პრემიერ-მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგაც ინარჩუნებდა — ფრანსუა ფიიონი 2013 წელს „ვალდაის კლუბის“ ექსპერტი გახდა, რომლის წევრებსაც რუსეთის ლიდერი ხშირად ხვდება ხოლმე.

ფრანსუა ფიიონი და ვლადიმირ პუტინი თითქმის თანატოლები არიან. როგორც ფრანგი ექსპერტი რონია კემპინი ამბობს, ფრანსუა რუსეთის ლიდერს ასე მიმართავს ხოლმე — „ძვირფასო ვლადიმირ“, რაც საკმაოდ პირადული ხასიათისაა და ხაზს უსვამს მათ ახლო ურთიერთობას.

როცა ფრანსუა ფიიონს დედა გარდაეცვალა, პუტინმა მას ერთი ბოთლი ფრანგული ღვინო გაუგზავნა, რომელიც 1931 წელს, ანუ ფრანსუას დედის დაბადების წელს იყო ჩამოსხმული. ამით რუსეთის პრეზიდენტმა სამძიმარი გამოხატა. კიდევ ერთი ფაქტი: ვლადიმირ პუტინმა ამას წინათ ჟურნალისტებთან შეხვედრისას თავის ფრანგ მეგობარზე თბილად ისაუბრა: „მე და ფრანსუას ერთმანეთთან ძალიან თბილი ურთიერთობა გვაქვს“.

აღიარებს თუ არა ფრანსუა ფიიონი ყირიმს რუსეთის ნაწილად, თუ იგი საფრანგეთის პრეზიდენტი გახდება?

პარიზის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი თომას გომარი ამბობს, რომ მასმედია ფრანსუა ფიიონის რუსეთუმეობას გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევს.

— თუ მას პრეზიდენტად აირჩევენ, პრაიმერიზის დროინდელი რიტორიკა და რეალური პოლიტიკა ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება. დიახ, ფრანსუა ფიიონი რუსეთისადმი სიმპათიებს გამოხატავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ვლადიმირ პუტინის მხარდამჭერი იქნება, — ამბობს თომას გომარი.

თომას გომარი იხსენებს ლიბიის ამბებს, რომლის დროსაც საფრანგეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ფრანსუა ფიიონი მუამარ კადაფის წინააღმდეგ გამოდიოდა, ვლადიმირ პუტინი კი აცხადებდა, რომ კადაფი არ უნდა დამხობილიყო.

რაც შეეხება ყირიმისა და სანქციების გაუქმების საკითხს, ფრანგი ექსპერტების აზრი სხვადასხვანაირია: რონია კემპინს ეს შესაძლებლად მიაჩნია, თომას გომარი კი ეჭვობს, რომ საფრანგეთი ცალმხრივად სანქციებს არ მოხსნის და არც ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში ყოფნას აღიარებს, რადგან ეს საერთოევროპული მიდგომისადმი დარტყმა იქნება. გარდა ამისა, ეს ეწინააღმდეგება გაეროს რეზოლუციასაც.

* * *

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის ურთიერთობაზე დონალდ ტრამპთან, თუმცა საკვანძო მნიშვნელობა პარიზისათვის მაინც გერმანიის პოზიციას ექნება.

თომას გომარი ამბობს, რომ საფრანგეთს ბერლინის გარეშე მოსკოვთან განსაკუთრებული კურსის გატარება არ შეუძლია.

ფრანსუა ფიიონი თავისი ეკონომიკური პროგრამის რეალიზებას მხოლოდ გერმანიასთან კარგი ურთიერთობით შეძლებს, რადგან ეს ქვეყანა საფრანგეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორია.

ამასთან, დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ ვინ მოვა მეზობელი ქვეყნის ხელისუფლებაში 2017 წლის სექტემბერში გერმანიის საპარლამენტო არჩევნების შედეგად.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

ვისკონსინის შტატში ხმებს ხელახლა გადაითვლიან

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამო ვნებათაღელვა არ ცხრება.

ვისკონსინის შტატის საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ხმების გადათვლის თაობაზე.

ხმების გადათვლა მომავალ კვირას დაიწყება.

ჰილარი კლინტონის შტაბმა ხმების გადათვლის იდეას მხარი დაუჭირა, ტრამპი კი, პირიქით, ამას უაღრესად აგრესიულად შეხვდა.

– ეს თაღლითობაა! – განაცხადა მან.

უკრაინაში გოლოდომორის მსხვერპლთა ხსოვნას პატივი მიაგეს

უკრაინაში გოლოდომორის მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღნიშნეს.

1932-33 წლებში სტალინის მიერ ინსპირირებული შიმშილობის შედეგად უკრაინაში 8-10 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა.

– ეს იყო უკრაინელთა მიზანმიმართული გენოციდი, – წერს ოლეს გონჩარი.

გოლოდომორის მსხვერპლთა მემორიალთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი.

პრეზიდენტმა პოროშენკომ ყვავილები დააწყო.

გოლოდომორის მსხვერპლთა ხსოვნას პატივი მიაგეს კიევში, ხარკოვში, ზაპოროჟიეში, დნეპრში, კროპივიანსკში, ლვოვში, როვნოში, ლუცკში, უჟგოროდში.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

კრემლში იმპერიის აღდგენის ახალი გეგმა შეიმუშავეს

საერთაშორისო მდგომარეობა იძაბება. ომი სირიაში, საერთაშორისო ტერორიზმის გააქტიურება მთელ მსოფლიოში, ყირიმის ანექსია, ბრძოლები დონბასში.

ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, ყოველივე ეს შემთხვევით არ ხდება. რუსეთს პროექტი „ნოვოროსია“ ჩაეშალა, „გაიჭედა“ დონბასსა და სირიაში. კრემლშიც იმპერიის აღდგენის ახალი გეგმა შეიმუშავეს. მისი მიზანი რუსეთისთვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური სიტუაციის შექმნაა. ამის შემდეგ იმპერიის აღდგენის პროცესიც უნდა დაიწყოს.

რუსეთი აქტიურად იყენებს როგორც ფონდ „რუსკი მირს,“ ასევე რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას. ლოზუნგებით, დავიცვათ ტრადიციული ღირებულებები, მიმდინარეობს აქტიური ანტიდასავლური, ანტიდემოკრატიული, ანტიამერიკული პროპაგანდა.

მიზანი ცხადია: ევროკავშირის დაშლა ან მისი გახლეჩა. ამას უნდა დაერთოს განხეთქილება თავად ნატოში. ბუნებრივია, ამის შემდეგ ევროპაში დაპირისპირება გაიზრდება, რაც ევროკავშირის ერთიანობას საფრთხეს შეუქმნის.

კრემლი დიდ ყურადღებას უთმობს აშშ-საც. დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ იქ ფრიად საინტერესო მდგომარეობა შეიქმნა. რუსმა ექსპერტმა სერგეი მარკოვმა ერთ-ერთი ტოკშოუს დროს განაცხადა, რომ ტრამპი არ არის პოლიტიკოსი. ის ბიზნესმენია და წლების განმავლობაში ვეებერთელა სამშენებლო კომპანიას ერთპიროვნულად განაგებდა. მარკოვმა აღნიშნა, რომ ტრამპი ქვეყნის მართვასაც ამ მეთოდებით შეეცდება, რაც გამოიწვევს დაპირისპირებას კონგრესთან.

– პრეზიდენტსა და კონგრესს შორის დაპირისპირება მთელ ქვეყანაზე აისახება, – აცხადებს მარკოვი.

კრემლის მიზანია როგორც აშშ-ში, ისე ევროპაში შიდა დაპირისპირების გაღრმავება. შედეგად არც ამერიკას, არც ევროპას უკრაინისათვის ან სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკისთვის არ უნდა ეცალოთ. როცა სიტუაცია კულმინაციას მიუახლოვდება, პუტინი შეტევაზე გადავა.

რუსეთის პრეზიდენტი ხვდება, რომ მთელი უკრაინის ოკუპაციისთვის რესურსები არ გააჩნია. ის შეეცდება, გააფართოოს დონბასში ოკუპირებული ტერიტორია, გაავრცელოს რუსული გავლენა ზაპოროჟიეზე, ოდესაზე, ხერსონზე, ნიკოლაევზე.

– პუტინის მიზანია რაც შეიძლება მეტი უკრაინული ტერიტორიის დაპყრობა, რათა ყველაზე განვითარებული რეგიონები მოსკოვის კონტროლის ქვეშ მოექცნენ, – ამბობს უკრაინელი ექსპერტი ტარანი.

უკრაინის პარალელურად, მოსალოდნელია რუსების გააქტიურება ბელარუსში. გამორიცხული არ არის აქ ყირიმის სცენარის გამეორება, ანუ ამ ქვეყნის ანექსია.

რუსეთი შეეცდება, გააძლიეროს გავლენა ყაზახეთზე, შუა აზიაზე, კავკასიაზე, ანუ აღადგინოს გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, ბალტიისპირეთის გარდა.

– ეს რეალური საფრთხეა და საამისოდ მზად უნდა ვიყოთ, – აცხადებს პორტნიკოვი.

ფიდელ კასტრო გარდაიცვალა

გარდაიცვალა კუბის დიქტატორი ფიდელ კასტრო (1926-2016).

ის ქვეყანას 50 წლის განმავლობაში განაგებდა.

კუბის ოფიციალური იდეოლოგები კასტროს ბიოგრაფიას ამახინჯებდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, თითქოს კასტრო ღარიბი ესპანელი ემიგრანტის ოჯახში დაიბადა. სინამდვილეში მამამისი მსხვილი მიწათმფლობელი და შაქრის პლანტაციის პატრონი იყო.

ფიდელმა დაამთავრა იეზუიტთა კოლეჯი, შემდეგ – ჰავანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. აქ დაიწყო მისი პოლიტიკური მოღვაწეობა. კასტრო მკვეთრად გამოხატული მემარცხენე და ნაციონალისტური პროგრამით გამოდიოდა, თუმცა თავდაპირველად კომუნისტურ იდეალებს უარყოფდა.

მისი შეხედულებები უფრო ხუან პერონის პროგრამასთან იდგა ახლოს.

– ჩვენი დევიზია ღმერთი, სამშობლო და სამართლიანობა! – აცხადებდა კასტრო.

1959 წელს პარტიზანული რაზმი, რომელსაც ფიდელ კასტრო, მისი ძმა რაული და ერნესტო ჩე გევარა მეთაურობდნენ, ჰავანაში შევიდა. აშშ-მ ეს მტრულ აქტად აღიქვა. კასტროს წინააღმდეგ დაიწყო შეთქმულებები. მოსკოვმა კასტროს აქტიურად დაუჭირა მხარი. ამას კინაღამ მესამე მსოფლიო ომი მოჰყვა (კარიბის კრიზისი).

ამერიკელების მიერ მტრად შერაცხულმა ფიდელმაც საბჭოთა კალთას შეაფარა თავი და კომუნისტი გახდა.

– ჩვენ უდიდესი შეცდომა დავუშვით, როცა კასტროს წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა დავიწყეთ. კუბის დიქტატორი არა ბატისტა, არამედ ფიდელ კასტრო უნდა ყოფილიყო, – აცხადებდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფი უილიამ კეისი.

ანტიკასტროული ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგი იყო ის, რომ კუბა ლათინურ ამერიკაში საბჭოთა ფორპოსტად გადაიქცა.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ კომუნისტური რეჟიმები დაემხო. ბევრი წითელი დიქტატორი სასამართლოს წინაშე წარდგა, ზოგიერთი სიცოცხლესაც გამოასალმეს (ჩაუშესკუ), ფიდელმა კი პოზიციები შეინარჩუნა. კუბა დარჩა დიქტატორულ სახელმწიფოდ, სადაც მოსპობილია პლურალიზმი, გაბატონებულია პოლიციური რეჟიმი და ა.შ.

უკანასკნელი კომუნისტი-დიქტატორი – ასე უწოდებდნენ მას.

კასტროს სიკვდილს მსოფლიოში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა.

– ფიდელ კასტრო უდიდესი მასშტაბის ფიგურა იყო! თუ როგორია მისი როლი კუბის ისტორიაში, ამას მომავალი თაობები განსჯიან, – თქვა ობამამ.

ტრამპის პოზიცია შემდეგია:

– კასტრო მსოფლიოში ერთ-ერთი უსასტიკესი დიქტატორი იყო! მან თავისი ხალხის გენოციდი მოაწყო.

თავად კუბელებს შორის კასტროსადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. კუბაში დიქტატურაა დამყარებული, დანერგილია ფიდელ კასტროს კულტი. შესაბამისად, აქ მხოლოდ კასტროს გაღმერთებაა შესაძლებელი. სამაგიეროდ, კუბელი ემიგრანტები მის მიმართ სხვაგვარი განწყობით გამოირჩევიან.

– კასტრო დიქტატორია! მან მთელი ჩვენი ერი დათრგუნა, – აცხადებენ ისინი.

განცხადებები

მომსახურება

● სიახლე!სტომატოლოგიურიკლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

თურქეთში „ამერიკის ხმის“ რეპორტიორი დააკავეს

თურქეთში ჟურნალისტების დევნა გრძელდება. ქალაქ დიარბექირში დააკავეს „ამერიკის ხმის“ რეპორტიორი ფარკინი.

ამერიკული მხარე ცდილობს, დაკავებული ჟურნალისტი გამოიხსნას.

საფრანგეთში ტერაქტები აღკვეთეს

პარიზის პროკურორმა ფრანსუა მოლენმა განაცხადა, რომ დაპატიმრებულია 4 პიროვნება, რომლებიც პარიზში ტერაქტების ჩატარებას აპირებდნენ.

– ისინი ისლამური სახელმწიფოს წევრები იყვნენ, – თქვა მოლენმა.

წყალდიდობა იტალიაში

ხშირი წვიმების გამო იტალიაში წყალდიდობა მოხდა.

დაღუპულია 4 ადამიანი.

მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

სეპარატისტებმა ტელეკომპანია „დოჟდის“ გადამღები ჯგუფი დონბასიდან გააძევეს

„დონეცკის რესპუბლიკის უშიშროების სამინისტრომ“ დააკავა ტელეკომპანია „დოჟდის“ გადამღები ჯგუფი, რომელიც დონეცკში ჩავიდა. დაპატიმრებულები „უშიშროების სამინისტროს“ შენობაში წაიყვანეს, სადაც ფსიქოლოგიური ტერორი მოუწყვეს.

– ისინი გვაგინებდნენ, გვიყვიროდნენ, რომ რუსეთის მოღალატეები ვართ, ამერიკელებზე ვმუშაობთ და ა.შ. – განაცხადა გადამღები ჯგუფის წევრმა ვასილი პოლონსკიმ.

დაკითხვების შემდეგ „დოჟდის“ წარმომადგენლები დონბასიდან გააძევეს.

ისრაელში დივერსანტები დააკავეს

ისრაელის პოლიციამ დააკავა 12 მოქალაქე, რომელთაც ბრალად ედებათ ქალაქ ჰაიფაში ხანძრის გაჩაღება.

უკვე დადგენილია, რომ ორი დაკავებული ისლამური მოძრაობის წევრია.

დაკავებულებს ბრალდება უკვე წაუყენეს. მიმდინარეობს გამოძიება.

ტერაქტი სომალიში

სომალის დედაქალაქ მოგადიშუში ტერაქტი მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა ქალაქის ბაზრის მახლობლად, სადაც ხალხმრავლობაა.

დაიღუპა 10 ადამიანი.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

ჯგუფებში ყველაფერი გაირკვა, წინ პლეი-ოფებია

თეთრი ჯგუფი

ტორპედო-დინამო (თბ) 0:1

ქუთაისი. რამაზ შენგელია

0:1 ზარია (30)

ტორპედო: ქვილითაია, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, ფალავანდიშვილი, საღრიშვილი (ბაბუნაშვილი 56), თ.კაპანაძე, ქიმაძე, ბურჯანაძე (კვერნაძე 63), გურული, ბენაშვილი (წილოსანი 70), ტუღუში

დინამო: ლომაია, ლოჩოშვილი, ჭანტურიშვილი (კუცია 89), კიტეიშვილი, მიქელთაძე (თევზაძე 81), ზარია, კობოური, ჯიღაური, ნინუა (ჩაკვეტაძე 61), ხუბუტია, ჭელიძე

მეტოქეებს სხვადასხვა მიზეზით ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელის გარეშე მოუწიათ თამაში.

მატჩი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და პირველი სახიფათო მომენტიც მათზეა – თორნიკე კაპანაძის ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ოდნავ აცდა სტუმართა კარს. ამის შემდეგ დინამოელებმა გამოასწორეს სიტუაცია და მე-19 წუთზე თბილისელებმა რეალური საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან. გიორგი ზარიას პასის შემდეგ ბექა მიქელთაძის დარტყმული ბურთი ხარიხამ აისხლიტა. მალევე ჯაბა ჯიღაური მიჯრით ორჯერ დაემუქრა ტორპედოს კარს. პირველ შემთხვევაში მეკარემ იყოჩაღა და კუთხურზე მოიგერია ბურთი, მეორედ კი ბურთი ზემოდან გადასცდა მასპინძელთა კარს. მატჩის 30-ე წუთზე დინამოელთა შეტევებმა შედეგი გამოიღო: ზარიამ ძლიერი დარტყმით სადებიუტო გოლი გაიტანა – 0:1.

მე-2 ტაიმი ორივე გუნდმა ხისტად დაიწყო, თუმცა რეალური სახიფათო მომენტების გარეშე. 58-ე წუთზე მასპინძლებმა სახიფათო იერიში განახორციელეს, ბოლო დარტყმას ვაჟა ტაბატაძე ასრულებდა, ძლიერად, თუმცა ძალზე არაზუსტად. საპასუხოდ თბილისელთა შეტევაა აღსანიშნავი. გიორგი ჩაკვეტაძის ზუსტი პასის შემდეგ ჯიღაური გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ვეღარ აჯობა მასპინძელთა კიპერს. მატჩის 78-ე წუთზე თბილისელთა კარი აშკარა ხიფათს გადაურჩა. საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს კაპანაძემ ახლო მანძილიდან შეაგება თავი, ბურთი სულ მცირედით აცდა ლომაიას კარს. შეხვედრის კომპენსირებულ დროს კაპანაძეს კიდევ ერთხელ მიეცა საგოლე შანსი, მისი დარტყმული ისევ არაზუსტი გამოდგა.

ლოკომოტივი – შუქურა 1:1

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 შალამბერიძე (27), 1:1 არდაზიშვილი (78)

ლოკომოტივი: თევდორაძე, გაბაძე, გეთიაშვილი, ხიდეშელი, უბილავა, მახარაძე (პატარკაციშვილი 46), კუხიანიძე, დიასამიძე, ბუღრიძე (სპანდერაშვილი 73), არდაზიშვილი, კიკაბიძე (კიკნაძე 46)

შუქურა: ჯიოევი, ადამაძე, ჯაფარიძე (კომახიძე 27), ჭეჟია, ჩაჩუა, არზიანი (მამულაშვილი 72), გურული, კუტალია, შალამბერიძე (კონიეჰა 76), ბერიაშვილი, ჯეფინიო

მართალია, ტორპედო დამარცხდა, მაგრამ 15 ქულით მაინც მე-3 ადგილზე დარჩა, რადგან შუქურასთან ნათამაშევი ფრის შემდეგ ლოკომოტივსაც 15 ქულა დაუგროვდა. ქუთაისელებმა რკინიგზელებთან ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები შედეგებით (0:0,3:0) მოიპოვეს უპირატესობა, ლოკომოტივს კი მე-4 ადგილი ერგო.

ანგარიში აჭარლებმა გახსნეს, 25-ე წუთზე თავი კობა შალამბერიძემ გამოიჩინა. გიორგი დევდარიანის გუნდმა წონასწორობის აღდგენა 78-ე წუთზე მოახერხა, ქობულთელთა კარი რატი არდაზიშვილმა აიღო. ამ ფრით შუქურამ 12 ქულა დააგროვა, მე-5 ადგილზე გავიდა და პლეი-აუტში მიიღებს მონაწილეობას.

ჩიხურა-ცხინვალი 4:1

თბილისი. დინამო არენა

1:0 გაბედავა (29), 2:0, 3:0 ტატანაშვილი (63, 70), 3:1 მაქაცარია (71), 4:1 გორგიაშვილი (90)

ჩიხურა: ჰამზიჩი, კაკუბავა, ჩიკვაიძე, თორნიკე გრიგალაშვილი, გორგიაშვილი, განუგრავა, ღექვთაძე (დეკანოიძე 61), კორიფაძე, გაბედავა, მუმლაძე (ტატანაშვილი 56), სარდალიშვილი (ლობჟანიძე 73)

ცხინვალი: ნადირაძე, თომაშვილი (გელაშვილი 67), მაისაშვილი, ბაჩიაშვილი, სულთანიშვილი, ქარდავა, მახარობლიძე, გაბრიჩიძე (მაქაცარია 60), დვალი, კახელიშვილი, შინდაგორიძე (ფირცხალავა 84)

უმაღლესი ლიგიდან გავარდა ცხინვალი, რომლებსაც უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად, ბოლო ტურში საჩხერის ჩიხურასთან მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ. შეხვედრა კი, საჩხერელთა გამარჯვებით 4:1 დასრულდა.

იმერელთა მხრიდან დუბლით დიმიტრი ტატანაშვილი გამოირჩა, თითო გოლი კი, გიორგი გაბედავამ და თორნიკე გორგიაშვილმა გაიტანეს. ცხინვალის მხრიდან პრესტიჟის გოლის ავტორი თამაზ მაქაცარია გახდა.

სატურნირო სიტუაციიდან გამომდინარე სოსო ფრუიძის გუნდისთვის აღნიშნული მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია. შეგახსენებთ, რომ საჩხერის ჩიხურამ თეთრ ჯგუფში ლიდერობა და შესაბამისად საჩემპიონო მატჩებში მონაწილეობა რეგულარული სეზონის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე მოახერხა.

საბოლოო ცხრილი:

1.ჩიხურა	12	9	2	1	27-11	29
2.დინამო (თბ)	12	6	5	1	17-5	23
3.ტორპედო	12	4	3	5	16-12	15
4.ლოკომოტივი	12	4	3	5	11-18	15
5.შუქურა	12	2	6	4	10-13	12
6.გურია	12	3	2	7	8-21	11
7.ცხინვალი	12	2	3	7	12-21	9

ნითელი ჯგუფი

დილა-კოლხეთი 1:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 კაპანაძე (18)

დილა: მუჯირიშვილი, კვახაძე, დან კოვა, ეტოუ, სამხარაძე, რაზმაძე, ერისთავი (ქარქუზაშვილი 58), წიქარიძე (გელაშვილი 68), ნონიკაშვილი, ელიაური, დ.კაპანაძე (კალანდარიშვილი 78)

კოლხეთი: ძაგანია, რამალდანოვი, კილასონია, ჩაკვეტაძე, ოზარკივი, კერძევაძე, ჟიშკარიანი, ლუკავა, ჯღამაია (შალიკაშვილი 45), კოკაია (ქებურია 46), ნიქაბაძე

გაძევება: კვახაძე (49), რამალდანოვი (49)

ფოთის კოლხეთმა ზედიზედ მე-3 მატჩი წააგო და ევროზონის მიღმა დარჩა. ბოლო ტურში ფოთელები გორს ესტუმრნენ და ადგილობრივ დილასთან 0:1 დამარცხდნენ. ერთადერთი გოლი, მე-17 წუთზე დავით კაპანაძემ გაიტანა. მიუხედავად გამარჯვებისა, უჩა სოსიაშვილის გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად პლეი-აუტში მოუწევს მონაწილეობის მიღება.

დინამო (ბთ)-საბურთალო 0:1

ქობულეთი. ჩელე არენა

0:1 სანტი ხარა (77)

დინამო: ტიმოფეევი, სუხიაშვილი, გეგეჭკორი (ჭკუასელი 88), ტვილდიანი, შონია თარხნიშვილი, ქავთარაძე (გორელიშვილი 72), გოგიტიძე, ფონიავა (თევდორაძე 82), ვარშანიძე, ლობჯანიძე

საბურთალო: გოშაძე, გრიგალაშვილი, ხოსე კარასკო, ჩაბრაძე, იაშვილი, ხარაიშვილი, მამუჩაშვილი, ელვინი, ფანცულაია (სოფრომაძე 84), სანტი ხარა (ბუხაიძე 87), გონსალვესი (კოხრეიძე 80)

ფოთის კოლხეთის წარუმატებლობით თბილისის საბურთალომ ისარგებლა და ბოლო ტურში მოპოვებული გამარჯვებით ბრინჯაოს პლეი-ოფში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

თბილისელები ქობულეთს ესტუმრნენ და „ჩელე არენაზე“ ბათუმის დინამოს დაუპირისპირდნენ. დაძაბულ შეხვედრაში გამარჯვების გოლი 67-ე წუთზე ესპანელმა სანტი ხარამ გაიტანა.

ზუგდიდი – სამტრედია 0:5

მარტვილი. მურთაზ ხურცილავა

1:0 ზივზივაძე (3), 2:0 არაბული (24), 3:0 გოგიაშვილი (48), 4:0 არაბული (54), 5:0 ზივზივაძე (63)

ზუგდიდი: ზარქუა, სუხომლინოვი, ნარმანია, ჩუკვურა, ბეჭვაია, ზოზულია (ქანთარია 46), ტყემალაძე (ბუკია 68), სიხარულია, სამუშია (შეველი 81), იოსელიანი, კოხია

სამტრედია: მიგინეიშვილი, გოგიაშვილი (ნინუა 59), მთივლიშვილი, ახალაძე, იმედაშვილი, ცნობილაძე, რაჟამაშვილი (გამყრელიძე 68), მანჯგალაძე, არაბული, ზივზივაძე, ჯიქია (მარკოზაშვილი 69)

საჩემპიონო მატჩების მეორე მონაწილე სამტრედიამ რეგულარული სეზონის ბოლო შეხვედრა სტუმრად ზუგდიდის წინააღმდეგ გამართა და მეტოქე დამაჯერებლად, 5:0 დაამარცხა. ზუგდიდელთა კარი ორორჯერ ბუდუ ზივზივაძემ და ბაჩანა არაბულმა აიღეს, ერთი გოლი კი ჯემალ გოგიაშვილის ანგარიშზეა.

საბოლოო ცხრილი:

1.სამტრედია	12	8	3	1	27-9	27
2.დინამო (ბთ)	12	5	5	2	20-5	20
3.საბურთალო	12	5	4	3	17-12	19
4.კოლხეთი	12	6	0	6	10-18	18
5.დილა	12	5	2	5	13-12	17
6.სიონი	12	3	2	7	13-19	11
7.ზუგდიდი	12	2	0	10	5-30	6

მაშ ასე, პლეი-ოფისა და პლეი-აუტის შეხვედრათა განრიგი ასეთი იქნება:

საჩემპიონო პლეი-ოფი:

ჩიხურა-სამტრედია

მატჩები 3 და 11 დეკემბერს გაიმართება. პირველი თამაშის მასპინძელი კენჭისყრით დღეს გამოვლინდება.

მე-3 ადგილისათვის:

ტორპედო-დინამო (ბთ);

30 ნოემბერი, 4 დეკემბერი;

საბურთალო-დინამო (თბ);

30 ნოემბერი, 4 დეკემბერი;

პირველი თამაშები პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე გაიმართება

წყვილებში გამარჯვებულები 10 დეკემბერს ნეიტრალურ მოედანზე ითამაშებენ ბრინჯაოს მედლისთვის

პლეი-აუტი:

სიონი-შუქურა

1 დეკემბერი, 6 დეკემბერი;

გურია-დილა

1 დეკემბერი, 6 დეკემბერი;

წყვილებში წაგებულები პირველ ლიგაში გააგრძელებენ ასპარეზობას.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

26 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბარნლი-სიტი	1:2
ჰალი-ვესტ ბრომვიჩი	1:1
ლესტერი-მიდლსბრო	2:2
ლივერპული-სანდერლენდი	2:0
სუონსი-კრ.პალასი	5:4
ჩელსი-ტოტენჰემი	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	13	10	1	2	29-10	31
2.ლივერპული	13	9	3	1	32-14	30
3.სიტი	13	9	3	1	29-12	30
4.არსენალი	12	7	4	1	25-12	25
5.ტოტენჰემი	13	6	6	1	19-10	24
6.მანჩესტერი	12	5	4	3	17-14	19
7.ევერტონი	12	5	4	3	16-14	19
8.უოტფორდი	12	5	3	4	17-20	18
9.ვესტ ბრომვიჩი	13	4	5	4	17-16	17
10.ბორნმუთი	12	4	3	5	14-16	15
11.საუთჰემპტონი	12	3	5	4	12-12	14
12.ბარნლი	13	4	2	7	12-21	14
13.ლესტერი	13	3	4	6	16-22	13
14.სტოკი	12	3	4	5	13-19	13
15.მიდლსბრო	13	2	6	5	12-15	12
16.კრ.პალასი	13	3	2	8	21-26	11
17.ვესტ ჰემი	12	3	2	7	13-23	11
18.ჰალი	13	3	2	8	11-28	11
19.სუონსი	13	2	3	8	16-26	9
20.სანდერლენდი	13	2	2	9	12-23	8

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ასტონ ვილა-კარდიფი	3:1
ბრენტფორდი-ბირმინგემი	1:2
ბრაიტონი-ფულემი	2:1
დერბი-ნორვიჩი	1:0
იფსვიჩი-ქარ	3:0
ნიუკასლი-ბლეკბერნი	0:1
პრესტონი-ბარტონი	1:1
რედინგი-ბრისტოლი	2:1
ვულვზი-უენსდი	0:2
როტერჰემი-ლიდსი	1:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

მალაგა-დეპორტივო	4:3
რეალი-ხიხონი	2:1
ესპანიოლი-ლეგანესი	3:0
სევილია-ვალენსია	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	13	10	3	0	36-11	33
2.სევილია	13	8	3	2	24-18	27
3.ბარსელონა	12	8	2	2	32-13	26
4.ვილიარეალი	12	6	4	2	19-8	22
5.სოსიედადი	12	7	1	4	21-13	22
6.ატლეტიკო	12	6	3	3	25-11	21
7.ეიბარი	13	6	3	4	20-16	21
8.ბილბაო	12	6	2	4	16-13	20
9.მალაგა	13	5	4	4	21-19	19
10.ესპანიოლი	13	4	6	3	17-17	18
11.სელტა	12	5	2	5	18-22	17
12.ლას პალმასი	12	4	4	4	21-20	16
13.ბეტისი	13	4	2	7	14-25	14
14.ლავენსი	12	3	4	5	11-16	13
15.ლეგანესი	13	4	1	8	11-25	13
16.ვალენსია	13	3	2	8	17-24	11
17.დეპორტივო	13	2	4	7	13-23	10
18.ხიხონი	13	2	3	8	12-27	9
19.ოსასუნა	12	1	4	7	12-23	7
20.გრანადა	12	0	5	7	10-26	5

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-ტენერიფე	1:3
მურსია-ნუმანსია	3:2
ალკორკონი-ოვიედო	5:1
ვალიადოლიდი-ალმერია	0:0
სარაგოსა-რეუსი	2:2

გერმანია. ბუნდესლიგა

გლადბახი-ჰოფენჰაიმი	1:1
კიოლნი-აუგსბურგი	0:0
ჰამბურგი-ვერდერი	2:2
ინგოლშტადტი-ვოლფსბურგი	1:1
აინტრახტი-დორტმუნდი	2:1
ბაიერნი-ლევერკუზენი	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლაიპციგი	12	9	3	0	27-10	30
2.ბაიერნი	12	8	3	1	26-8	27
3.აინტრახტი	12	7	3	2	18-10	24
4.კიოლნი	12	6	4	2	18-8	22
5.ჰოფენჰაიმი	12	5	7	0	21-14	22
6.დორტმუნდი	12	6	3	3	27-14	21
7.ჰერტა	11	6	3	2	17-10	21
8.მაინცი	11	5	2	4	21-20	17
9.ლევერკუზენი	12	5	1	6	19-20	16
10.ფრაიბურგი	12	5	0	7	16-24	15
11.შალკე	11	4	2	5	14-12	14
12.აუგსბურგი	12	3	4	5	10-14	13
13.გლადბახი	12	3	4	5	12-18	13
14.ვოლფსბურგი	12	2	4	6	10-15	10
15.დარმშტადტი	11	2	2	7	10-21	8
16.ვერდერი	12	2	2	8	15-31	8
17.ინგოლშტადტი	12	1	3	8	9-22	6
18.ჰამბურგი	12	0	4	8	8-27	4

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰაიდენჰაიმი-ზ.პაული	2:0
დინამო-ბოხუმი	2:2

იტალია. სერია ა

ტორინო-კიევო	2:1
ემპოლი-კიევო	1:4

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	13	11	0	2	28-9	33
2.მილანი	14	9	2	3	25-18	29
3.რომა	13	8	2	3	30-14	26
4.ლაციო	13	7	4	2	26-14	25
5.ატალანტა	13	8	1	4	21-14	25
6.ტორინო	14	7	4	3	31-17	25
7.ნაპოლი	13	7	3	3	23-14	24
8.ფიორენტინა	12	5	5	2	18-11	20
9.ინტერი	13	5	3	5	18-16	18
10.სამპდორია	13	5	3	5	16-19	18
11.კიევო	14	5	3	6	14-16	18
12.ჯენოა	12	4	4	4	14-14	16
13.ბოლონია	13	4	4	5	14-19	16
14.კალიარი	13	5	1	7	20-30	16
15.უდინეზე	13	4	3	6	17-21	15
16.სასუოლო	13	4	1	8	16-25	13
17.ემპოლი	14	2	4	8	7-21	10
18.პესკარა	13	1	4	8	9-23	7
19.პალერმო	13	1	3	9	10-26	6
20.კროტონე	13	1	2	10	10-26	5

საფრანგეთი. 1 ლიგა

მონაკო-მარსელი	4:0
ბორდო-დიჟონი	3:2
მონპელიე-ნანსი	0:0
ნანტი-ლილი	0:0
კაენი-გენგამი	1:1
მეცი-ლორიანი	3:3

სატურნირო ცხრილი:

1.მონაკო	14	10	2	2	43-15	32
2.ნიცა	13	10	2	1	25-9	32
3.პსჟ	13	9	2	2	26-7	29
4.რენი	14	7	3	4	15-17	24
5.გენგამი	14	6	5	3	19-14	23
6.ბორდო	14	6	5	3	19-16	23
7.ლიონი	13	7	1	5	21-16	22
8.ტულუზა	14	5	4	5	17-13	19
9.სტ.ეტიენი	13	4	6	3	14-11	18
10.ანჟე	13	5	3	5	12-12	18
11.მეცი	14	5	3	6	16-25	18
12.მარსელი	14	4	5	5	13-17	17
13.მონპელიე	14	3	7	4	20-27	16
14.დიჟონი	14	3	5	6	18-21	14
15.კაენი	14	4	2	8	11-23	14
16.ნანტი	14	3	4	7	9-18	13
17.ნანსი	14	3	4	7	8-19	13
18.ბასტია	13	3	3	7	10-13	12
19.ლილი	14	3	2	9	10-19	11
20.ლორიანი	14	2	2	10	12-26	8

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ამიენი-ბრესტი	3:0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ვიტესი-ექსელსიორი	2:2
ზვოლე-გრონინგენი	0:4
პსვ-დენ ჰაგი	3:1
ნაიმეგენი-ტვენტე	3:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

შავეში-მარიტიმუ	0:0
ნასიონალი-უნეტორილი	0:1
ბოავიშტა-სპორტინგი	0:1
ბელენენსეში-პორტუ	0:0

ჩეხეთი. პრემიერლიგა

ამკარი-არსენალი	1:0
ცსკა-რუბინი	0:0
ლოკომოტივი-ურალი	1:1
ტერეკი-სპარტაკი	0:1

ჩეხეთი. პრემიერლიგა

პარტიკი-რეინჯერსი	1:2
როსი-ჰამილტონი	1:1
დანდი-ინვერნესი	2:1
ჰართსი-მოზერველი	3:0

შვეიცარია. სუპერლიგა

თუნი-ლუცერნი	1:2
გრასჰოპერსი-სტ.გალენი	2:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

რიდი-სტ.პოლენი	1:2
მატერსბურგი-ალტახი	1:2

ბელგია. 1 დივიზიონი

ბევერენი-შარლერუა	0:1
ლოკერენი-სტ.ტრუიდენი	1:0
ეუპენი-ვესტერლო	3:3

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-ვერია	2:0
ასტერასი-ლარისა	1:1
აეკი-პლატანიასი	3:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქარაბუქი-გაზიანთები	2:0
აკჰისარი-ქაშიმფაშა	1:0
ანთალია-ადანა	1:0
ბეშიქთაში-ისთანბული	1:1

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

ზლინი-დუკლა	0:1
კარვინა-ბოჰემიანსი 1905	3:0
პრეიბრჟამი-იიჰლავა	0:0
სლავია-ბოლესლავი	2:1
ტეპლიცე-იაბლონეცი	1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

კორონა-პოგონი	4:1
რუხი-იაგელონია	1:2
ვისლა-არკა	5:1

უკრაინა. პრემიერლიგა

სტალი-ვორსკლა	0:1
ჩერნომორეცი-ზვეზდა	2:1
ვოლინი-დინამო	1:4

დანია. სუპერლიგა

ვიბორგი-სონდერიისკე	2:2
ლუნგბიუ-კოპენჰაგენი	0:1

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78. 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რა იწვევს რევმატოიდულ ართრიტს?

ეკა ირემაშვილი

ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანს სხვადასხვა დაავადება აწუხებს. მათ შორის აღსანიშნავია რევმატოიდული ართრიტი.

ის ქრონიკული დაავადებაა, რომელიც სახსრების ტკივილს, შებოჭილობას, შეშუპებასა და მოძრაობის შეზღუდვას იწვევს. რევმატოიდული ართრიტის დროს, პირველ რიგში, სახსრები ზიანდება, მაგრამ ანთება შესაძლოა გავრცელდეს სხვა ორგანოებზეც.

რევმატოიდული ართრიტი დროთა განმავლობაში იწვევს სახსრების დეფორმაციასა და ფუნქციის შეზღუდვას ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფუნქციის დაკარგვასაც კი.

რევმატოიდული ართრიტით მსოფლიოში მოსახლეობის დაახლოებით 1%-ია დაავადებული. საქართველოში დაავადების გავრცელების ზუსტი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ ცნობილია, რომ დაავადებულთა დაახლოებით 75% ქალები არიან. ყველაზე ხშირად დაავადება იწყება 40-60 წლის ინტერვალებს შორის, მაგრამ შესაძლებელია, ეს დაავადება ნებისმიერ ასაკში განვითარდეს.

რევმატოიდული ართრიტის დროს ირღვევა იმუნური სისტემის გარკვეული უჯრედების ფუნქცია და ისინი სახსრებს აზიანებს. იმუნური სისტემის ასეთი დისფუნქციის მიზეზი უცნობია, რადგან რევმატოიდული ართრიტის გამომწვევი მიზეზები საბოლოოდ არ არის შესწავლილი.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დაავადების განვითარებას, შესაძლოა, ბიძგი მისცეს მწვავე რევმატიულმა დაავადებებმა, გრიპმა, ანგინამ, ქრონიკული ინფექციური დაავადებების გამწვავებამ, ძლიერმა სტრესმა ან გადაცივებამ.

ექიმთან დროული ვიზიტი და რენტგენოგრამის შედეგად მიღებული ამომწურავი ინფორმაცია პაციენტს აძლევს საშუალებას, თავი აარიდოს შებოჭილ მოძრაობას, შეშუპებასა და მუხლების ტკივილს.

რა იწვევს ართრიტს და რა ცნობებს იძლევა რენტგენოგრამა, ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამედიცინო



ომარ ღურწკაია

კორპორაცია ევექსის ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალის ექიმი-რენტგენოლოგი **ომარ ღურწკაია** ესაუბრა.

– სახსრების დაზიანების გამომწვევ დაავადებებს შორის რევმატოიდული ართრიტი ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა. სტატისტიკური მონაცემებით, ამ დაავადებით ჩვენს პლანეტაზე ყოველი მეასე ადამიანი იტანჯება. ცნობილია, რომ ქალები მამაკაცებზე ხუთჯერ უფრო ხშირად ავადდებიან. რევმატოიდული ართრიტი 30 წელს გადაცილებულებში უფრო ხშირად გვხვდება. ეს შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაავადებაა, რომელიც აზიანებს უპირატესად ტერფის, კოჭ-წვივის, მუხლის, სხივ-მაჯისა და მტევნის სახსრებს, – ამბობს ღურწკაია.

– რა ხდება პათოლოგიური ართრიტის დროს?

– პათოლოგიური პროცესის დროს ჩათრეულია კისრის მალათაშუა სახსრებიც. რევმატოიდული ართრიტი აუტოიმუნური პათოლოგიების ნუსხაშია. ამ დროს ორგანიზმში საკუთარი ქსოვილების წინააღმდეგ გამომუშავდება ანტისხეულები. დადგენილია, რომ დაავადების აღმოცენებას ბიძგს აძლევს იმუნურ სისტემაში გარკვეული ძვრები. მაპროვოცირებელ ფაქტორებად შეიძლება მოგვევლინოს გადაცივება, სტრესები, სახსრების ტრავმა და ინფექციები. ანგინა, გრიპი და მწვავე რესპირატორული დაავადებები, შესაძლოა, გართულდეს რევმატოიდული ართრიტით.

– რა დატვირთვა აქვს გენეტიკას?

– გენეტიკას ამ დროს უდიდესი დატვირთვა აქვს. მეცნიერების მიერ დადგენილია რევმატოიდული დაავადებისადმი მემკვიდრეობითი განწყობა.

– როგორია რევმატოიდული ართრიტის პირველადი ნიშნები?

– ამ დაავადებებისთვის დამახასიათებელია ხელის თითების, მაჯის, ტერფის, კოჭ-ტერფის სახსრების დაზიანება. დაავადება ვრცელდება მენჯ-ბარძაყის, მხრისა და მუხლის სახსრებზეც. ამ დროს სახსრები ზიანდება სიმეტრიულად. დაავადება იწყება თანდათანობით და ახასიათებს ტალღისებრი, თანაც პროგრესირებადი მიმდინარეობა. დაზიანებულ სახსარში ტკივილი განსაკუთრებით მძაფრია გამთენიისას, დილით ან დღის პირველ ნახევარში. ხშირია მთლიანად სხეულისა და სახსრების შეშუპების შეგრძნება, განსაკუთრებით დილით. რევმატოიდული ართრიტის სიმპტომებია სისუსტე, მადისა და ძილის გაუარესება, შემცივნება, წონაში კლება.

დაავადების მოგვიანებით სტადიებზე შესაძლოა დაზიანდეს პერიფერიული ნერვები, სისხლძარღვები, გული, ფილტვები, თირკმელები და სხვა შინაგანი ორგანოები. დაავადებას ახასიათებს სხეულის ტემპერატურის ზომიერად მომატებაც. არანამკურნალევ შემთხვევაში რევმატოიდული ართრიტი დაზიანებული სახსრების თანდათანობით დაშლას იწვევს.

– რამდენად მარტივია რევმატოიდული ართრიტის დიაგნოსტიკა?

– დიაგნოსტიკა შეიძლება რთული იყოს, რადგან ის ხანდახან თანდათანობით ვითარდება მსუბუქი სიმპტომებით. ადრეულ პერიოდში მრავალი დაავადება რევმატოიდული ართრიტის მსგავსია.

– საქართველოს რომელ რეგიონებში არიან ყველაზე მეტად ართრიტით დაავადებულები?

– დასავლეთ საქართველოში, რადგან უფრო მეტია სინესტე და ამიტომ იქ როგორც ართროზების, ასევე ართრიტების უფრო მეტი შემთხვევა ფიქსირდება. ამ დაავადების მქონე პაციენტები აუცილებლად უნდა მივიდნენ რევმატოლოგთან, რომელიც დასვამს კონკრეტულ დიაგნოზს და უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად ავადმყოფს უშვებს რენტგენოგრამაზე.

– რა ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი რენტგენოგრამით?

– რენტგენოგრამით ვიკვლევთ თითოეულ სახსარს, ვადგენთ, რა იწვევს ტკივილს, წანაზარდებს, შეშუპებას.

– ქრონიკულია ეს დაავადება თუ განკურნება შესაძლებელია?

– დაავადება ქრონიკულია, მაგრამ რევმატოლოგი აძლევს დანიშნულებას და პაციენტს ტკივილს უყუჩებს.

– ამ დაავადების ყველაზე სუსტი წერტილი სად არის?

– ყველაზე ხშირია ქვედა კიდურების ტკივილი. პაციენტს მუხლები აწუხებს. ხშირად ვითარდება მენჯ-ბარძაყის კოქსართროზებიც. კოქსართროზი ანუ ოსტეოართროზი საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ქრონიკული დისტროფიული დაავადებაა. ამ დაავადების განვითარების საფუძველი ხდება ხრტილის პირველადი დისტროფია, სასახსრე ზედაპირის შემდგომი ცვლილებები და ოსტეოფიტების წარმოქმნა, რასაც თან სდევს სახსრის დეფორმაცია. ოსტეოართროზი ყველაზე გავრცელებული რევმატიული დაავადებაა და მსოფლიოს მოსახლეობის 4,5-25%-ს აწუხებს. საქართველოში ეს დაავადება უმეტესად ქალებს აქვთ. დაავადება ქრონიკულია და უყურადღებობის შემთხვევაში დროებით შრომისუუნარობასა და ადრეულ ინვალიდობასაც კი იწვევს.

– რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ექიმთან დაგვიანებულ ვიზიტს?

– როცა ექიმთან ვიზიტი დაგვიანებულია, ერთადერთი გამოსავალია ოპერაცია. ოპერაცია კი მეოთხე ხარისხის ართროზის დროს ინიშნება. ამ დროს ხდება სახსრისა და მენჯ-ბარძაყის სახსრის პროთეზირება.

– მარილებსაც შეუძლია გაართულოს სახსრების მდგომარეობა?

– რა თქმა უნდა. მარილებით იწყება სახსრების პრობლემები და, შემდეგ თუ ადამიანი დროულად არ მივიდა ექიმთან და მკურნალობა არ დაინიშნა, მდგომარეობა სულ უფრო რთულდება. სახსრები იღებს დეფორმაციას და ოპერაციული ჩარევა ხდება საჭირო.

ასტროპროგნოზი
28 ნოემბრისათვის

ვერძი – მოშურნე თქვენთვის კვანტის დადებას ცდილობს. პროვოკაციას ნუ წამოეგებით. კარგი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად. **კურო** – ბევრს თქვენი დახმარება სჭირდება. პრიორიტეტების მიხედვით იმოქმედეთ. **ტყუპები** – ძველ მეგობართან შეხვედრა გაგახალისებთ, თუმცაღა, ეს თქვენგან არცთუ მცირე თანხას მოითხოვს. **კირჩხიბი** – საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნეთ სხვებზე. **ლომი** – მძიმე დღეა. თქვენი ძალისხმევა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ბევრი საქმე გექნებათ, მაგრამ დაბრკოლებებს იოლად გადალახავთ. საღამოს გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ. **სასწორი** – ჩანაფიქრის რეალიზაციას შეძლებთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება დღეს რეკომენდებული არ არის. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** – ინიციატივას ნუ დათმობთ. შანსი გეძლევათ, პროფესიონალურ სფეროში წარმატებას მიაღწიოთ. **თხის რქა** – საკმაოდ რთული დღეა. შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ენერგიას ფუჭად ნუ გაფლანგავთ. **მერწყული** – ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გიუმჯობესდებათ. ნუ გარისკავთ. **თევზები** – მშვიდი და პასიური დღეა. ეცადეთ, წარსულში დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ბორჯღალოსნებმა თამაში 30 წუთი გვანახეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მატჩის განახლებისთანავე მასპინძლებმა მორიგი ლეღო-გარდასახვა მიითვალეს, რის შემდეგაც ბორჯღალოსნები ინიციატივას დაეუფლნენ. მატჩის ბოლომდე თამაში ჩვენი უპირატესობით გაგრძელდა და სქოთები მხოლოდ თავს იცავდნენ. თუმცა, მხოლოდ ერთი ლელოს დადება მოვახერხეთ – ჩვენი შერკინება ლელოში შევიდა და ღაშა ღომიძეს ბურთის დამიწებაღა დარჩენოდა, მაგრამ ლეიდღოუმ ბურთს ფეხი წაჰკრა (ეს წესებით იკრძალება), მაგრამ ღობჟანიძე იქვე იყო ჩასაფრებული და ბურთი მარტივად დადო მეტოქის ჩასათვლელ მოედანში.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, შერკინებასთან ერთად ბორჯღალოსნებს ხელდახელ თამაშიც წაუვიდათ და საამო საცქერი გახლდათ, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა გვიჭირდა.

მილტონ ჰეიგმა მთელი პირველი ხაზი გამოცვალა და შეცვლაზე შესულმა მორკინალებმა მეტოქე უფრო დაჩაგრეს. თითქოს კიდევ ერთი ლელოც უნდა დაგვედო რომ უპატიებელი შეცდომა და შოტლანდიელებმა ბოლო წუთზე ერთხელაც დაგვსაჯეს...

მოკლედ რომ შევაჯამოთ ქართველთა მატჩი, ვიტყვით, რომ სარაგბო ელიტასთან მისასვლელად სასწავლი ბევრი გვაქვს, რაც ამ მატჩშიც კიდევ ერთხელ გამოჩნდა. და უმთავრესი: ბოლომდე კონცენტრირებული არ ვართ და წამიერ მოდუნებას არავინ გვპატიობს. ეს არა მარტო სქოთებთან მატჩმა, არამედ მთლიანად ნოემბრის ტესტ-მატჩებმა დაგვანახეს.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი



ავსტრალიელ პოლიციელებს მტკიცებულებად დუნდულების ანაბეჭდი დარჩათ

ავსტრალიის ქალაქ უოდონგში ქურდმა დანაშაულის ადგილზე საკუთარი დუნდულების ანაბეჭდი დატოვა. ასე რომ, ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებმა დანაშაულის გამოძიება ამ ერთადერთი მტკიცებულებით დაიწყეს.

დამნაშავემ ქალაქის ერთ-ერთ საზოგადოებრივ ცენტრში შეაღწია, ცეცხლმქრობი გამოიყენა, ტელევიზორი მოიპარა და დუნდულების ანაბეჭდი დაწესებულების მინის კარზე დატოვა. აღსანიშნავია, რომ, შესაძლოა, სამი სამართალდამრღვევი ყოფილიყო, მაგრამ კვალი მხოლოდ ერთია. სავარაუდო მძარცველები შემთხვევის ადგილიდან შავი ფერის ავტომობილით მიიმალნენ.

პოლიციის სერჟანტ შეინ მარტინის თქმით, მას აქამდე არასოდეს ჰქონია მსგავს შემთხვევასთან შეხება.

– მათ იხუმრეს თუ, უბრალოდ, ასეთი საშუალებით სურდათ მინის კარის გატეხა, უცნობია, მაგრამ არ მესმის, ეს რატომ უნდა გააკეთო შარვალჩახდილმა, – განაცხადა პოლიციის ოფიცერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანგოხდი



1. მდინარე იტალიაში; 2. „ნაბოლარა“ თითი; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. გვინეის დედაქალაქი; 5. სანჩო ... (პერს.); 6. ამონი; 7. ჭეშმარიტად; 8. ესპანელი მევიოლინე და კომპოზიტორი; 9. ბატონო (პოლონურად); 10. მაუგლის მეგობარი გველი; 11. ... რობერტსი; 12. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 13. ბოსტნეული მცენარე, რომლის ფესვიც იჭმება; 14. მიწის ფართის საზომი ერთეული; 15. სახელმწიფო ტერიტორიის გარკვეული ერთეული; 16. ივლისი; 17. მასის ერთეული; 18. ირმა ... (პიანისტი); 19. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი II მსოფლიო ომში; 20. მწყობრი ნაბიჯით სვლა; 21. სატურნის თანამგზავრი; 22. მოქმედების ნაწილი დრამატულ ნაწარმოებში; 23. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 24. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული მცენარე; 25. შენობის შიდა ეზო; 26. მთავრობის მეთაური; 27. ნათესების მავნე მწერი; 28. ბუნებრივი საღებავი; 29. უფერო გაზისებრი საწვავი ნივთიერება; 30. მთა და სოფელი ყვარლის რაიონში; 31. ... მორჩილაძე; 32. ვანესა ... (მევიოლინე); 33. ლიმონის პიტნა.

ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. აბასტურმა; 2. ჯაყვა; 3. ბრიუსელი; 4. თოხანი; 7. ციცკა; 9. კრიკი; 12. ულტიმატუმი; 14. ხარება; 15. ჰიპნოსი; 17. კუმურდო; 20. ჯეზვე.

თარაზულად: 5. ბარახასი; 6. ვეროკიო; 8. ნოვაცია; 10. პეკინესი; 11. ამქარი; 13. სპირალი; 16. სიჭინავა; 18. დუომო; 19. ოპელი; 21. უემბლი; 22. ასკურავა; 23. ტანდემი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯიში; 2. ახო; 3. გარიბალდი; 4. ალაფი; 5. ზოსტერა; 8. შუმი; 9. ჰიპნოზი; 10. რობერტსი; 12. ჯორჯია; 13. დაიმი; 15. დაზგა.

თარაზულად: 1. ჯანდარა; 6. „ვატერლოო“; 7. შაშვი; 10. რკინა; 11. ამური; 13. დანტე; 14. ბედია; 16. ჯიპი; 17. ინვაზია; 18. როკაპი.

ჭიათურის თეატრში სცენის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში სცენის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ისტორიულ თეატრში სცენის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილობრივი გამგეობა აწარმოებს.

კონკრეტული თარიღი, თუ როდის დასრულდება სცენის რემონტი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ვარაუდობენ, რომ სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლოსთვის დამთავრდება.

თეატრის სცენის რეაბილიტაციას კულტურის სამინისტრო და ჭიათურის მუნიციპალიტეტი ერთობლივად ახორციელებენ.

რუსთაველის თეატრში პრემიერაა

30 ნოემბერს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე პრემიერაა. რეჟისორი გიორგი თავაძე მაყურებელს შესთავაზებს ერიკ უმანუელ შმიტის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე“.

პიესა ეკატერინე ნიკოლაძემ თარგმნა, მხატვარი ანა კალატოზიშვილია, მუსიკალური გამფორმებელი – დავით თავაძე, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ მანანა აბრამიშვილი, გოგა ბარბაქაძე, თამთა ინაშვილი, გელა ლეჟავა, ნანა ფაჩუაშვილი, ქეთი ხიტირი, მურმან ჯინორია და ლუკა გულედანი.

კონსერვატორიის სტუდენტს სოციალური დახმარება მოუხსნეს

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტს ერთ-ერთ კონკურსზე პირველი პრემიისა და ფულადი ჯილდოს მოპოვების გამო სოციალური დახმარება მოუხსნეს.

ინფორმაცია კონსერვატორიის პროფესორმა, პიანისტმა და მუსიკათმცოდნე ნინო ჟვანიამ გაავრცელა:

– კონსერვატორიაში გვყავს ბევრი უკიდურესად გაჭირვებული უნიჭიერესი სტუდენტი... ვიცი, ბატონო, ეს ქვეყნის პრობლემაა და ამას ამ წუთას არაფერი ეშველება...! მაგრამ...

სრულიად შემთხვევით გავიგე გუშინ, რომ სოციალურ დახმარებაზე მყოფ ერთ-ერთ სტუდენტს, რომელმაც ერთ-ერთ კონკურსზე პირველი პრემია მოიპოვა და ფულადი ჯილდო მიიღო, არცთუ ისე დიდი სოციალური დახმარება მოუხსნეს.

ამ სტუდენტს სახლში არც ცხელი წყალი აქვს, არც გათბობა, არც მაცივარი, არც ინტერნეტი, არც ტელევიზორი... და ეს ფულადი პრემია არ ეყო, რომელიმე პრობლემა მოეგვარებინა.

აი, გული როგორ არ გაგისკდეს?! აზრი აქვს ამ კითხვის დასმას? მაგრამ მაინც დავსვამ: რას გვიკეთებს სოციალური მომსახურების სააგენტო?

ნინი ონიანი „პროფილის“ წინააღმდეგ

მოდელი და მსახიობი ნინი ონიანი გადაცემა „პროფილს“ უპირისპირდება. როგორც ის აცხადებს, ამის მიზეზი მისი გადაცემაში მიწვევა და შემდეგ პრომოდან ამოჭრა გახდა.

ნინი ონიანი:

– მიმიწვიეს გადაცემა „პროფილში“. მხიარული და სახალისო ჩაწერა იყო. პატივს ვცემ მის წამყვანსაც, მაია ასათიანს. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ სადღაც 15 სტუმარი ვიყავით. მაინტერესებდა, როგორი გადაცემა გამოვიდა, პრომოსაც ველოდი. გამოვიდა პრომო, დღეს ვნახე და აბსოლუტურად ყველა სტუმარი ვიხილე, საკუთარი თავის გარდა. 14 ადამიანი „ჩაეტია“ ერთ პრომოში და ჩემი ადგილი არ დარჩა ვითომ..?! იქნებ საერთოდ გადაცემაშიც აღარ ვარ?!

ერთი შეხედვით, აბსოლუტურად უწყინარი ფაქტია, ასეთი რამ არც არასოდეს მომხდარა, მაგრამ, შემდეგში თუ ისევ გადაწყვეტთ, რომელიმე ტოკშოუდან თუ გადაცემიდან „ამომჭრათ“, ნუღარ მიმიწვევთ.

ახმეტელის თეატრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარებისთვის „პინოკიოს“ ითამაშებს

28 ნოემბერს სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრის მსახიობები სპექტაკლ „პინოკიოს თავგადასავალს“ სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრ „აისში“ წარმოადგენენ.

სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი „აისი“ 14 წლის წინ შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობლებისა და პროფესიონალების ერთობლივი ძალისხმევით.

„აისის“ ბენეფიციარები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარები არიან, რომლებიც ახმეტელის თეატრის მსახიობების შესრულებით მსოფლიოში ერთადერთი და ყველაზე ცნობილი ხის ბიჭუნას, ონავარი პინოკიოს თავგადასავალს ნახავენ.

იმავე დღეს „აისის“ ბენეფიციარი ბავშვებიც წარდგებიან მაყურებლის წინაშე. მათ სპეციალური ღონისძიება მოამზადეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი
28 ნოემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. **"ფრანკლინი და ბეჟი"** **07.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. . **"ბრიუმფიტ"** **12.20** მხ/ფ **"დიასახლისი"** (გ.ჰოუნი) **15.00, 02.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. **"ფურისძიება"** **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ტ/სერ. **"ამერიკელები"** **00.00** მხ/ფ **"მასობრივი მიმზიდველობა"** (ჯ.ლემონი)

08.00 დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **09.00** დ/ფ "ინკების მარილი" **10.00** მხ/ფ **"ბიჭუნა წყალზე"** **12.00** ტ/სერ. **"ბულის მუსიკა"** **13.00** ტ/სერ. **"ნინტო ვებრინე"** **14.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **15.00, 18.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. **"სად ხარ?!"** **23.00** "მოამბე" (3 ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. **"თანხმობა"** **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ერთი სიყვარულის ამბავი"** **11.20** სერ. **"სიყვარულის ჭამი"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ფისი"** **17.35** სერ.**"პაპარაცი"** **18.50, 19.03** სერ. **"ღირსების სახელით"** **20.55** სერ. **"შავი პარდი"** **23.00** მხ/ფ **"რეჯბო 4"** **01.00** მხ/ფ **"მცირე განათლება"** **03.00** მხ/ფ **"ჩაკეტილი ნრე"**

06.00 სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **06.45** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"წითელი და შავი"** **15.55** სერ. **"ინდური საბა"** **16.55** სერ. **"ცხოვრების გზები"** **18.50** სერ. **"ოქროს გალია"** **19.55, 20.05** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **22.00** ნიჭიერი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. **"ფანგიი და ჩამ-ჩამი"** **9.00, 19.00** სერ. **"დოქტორ პაუსი"** **10.00, 18.00** სერ. **"სკანდალი"** **11.00** სერ. **"კერძო პრაქტიკა"** **13.00, 1.45** სერ. **"კრიმინალური აზროვნება"** **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. **"ლურჯის ელფერები"** **23.00** სერ. **"მისტერ რობოტი"** **0.00** მხ/ფ **"ბაძვება"**

06.15 ღვთის სახლი **06.35** პატრიკი-გლახაკთათვის გაცემული მოწყალება" **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ **"გლახის ნაამბობი"** **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "გობელენი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.50** კონცერტი **16.55** სპექტაკლი **"სახელი ჩემი-სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი"** I , II **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში (ციკლური გადაცემა) **20.40** ძილი ნებისა "ტყის კვარტეტი" **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** პატერიკი-აღსარებით ცოდვათა მიტევების შესახებ **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა (ციკლური გადაცემა) **22.15** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები (ციკლური გადაცემა) **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **01.00** დ/ფ "ანტონI" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. **"ჯარმელიბა"** **10.00** სერ. **"ეკაპერინა"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 1.00** სერ. **"ორი გული"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. **"სიყვარულის იმპერია"** **16.00** სერ. **"ჯარმელიბა ბოშური ვნება"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 2.30** სერ. **"ცენტრალური საავადმყოფო"** **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. **"ვინ თუ არა მე"** **21.55** სერ. **"ბეთი"** **22.40** სერ. **"ესკობარი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

სპორტი

ბათუმსა და ქუთაისში საკალათბურთო მატჩები ჩაიშალა

საკალათბურთოს სუპერლიგის პირველი წრის ბოლო, მე-7 ტური რეგიონებში დაიწყო. ქუთაისმა დინამოს უმასპინძლა, ხოლო ბათუმმა – ოლიმპს. მიზეზთა გამო არც ერთი მატჩი ბოლომდე არ დასრულებულა.

ქუთაისში, მატჩის მესამე მეოთხედის დასრულებამდე 1,34 წუთით ადრე, ანგარიშზე 68:56 დინამოს სასარგებლოდ, თამაში შეწყდა მაყურებლების მხრიდან მოედანზე მკვრივი საგნების სროლის გამო.

რაც შეეხება აჭარის დედაქალაქში გამართულ შეხვედრას, მატჩის დასრულებამდე 20 წამით ადრე, როცა მასპინძლები 81:78 იგებდნენ, სტუმართა გუნდის, ოლიმპის წევრებმა მსაჯების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო უარი თქვეს თამაშის გაგრძელებაზე.

ორივე მატჩში მომხდარი ფაქტების შესახებ იმსჯელებს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საშეჯიბრებო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და სადისციპლინო კომიტეტი.

კაპტუსი-რუსთავი 95:103 (ოტ)
(29:29, 25:21, 15:18, 19:20, 7:15)

მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გაიმართა და მატჩის ბედი დამატებით 5-წუთეულში გადაწყდა. 88:88 დასრულებული ძირითადი დროის შემდეგ, რუსთაველებმა ოვერტაიმში 103:95 იმარჯვეს, თუმცა მანამდე განვითარებული მოვლენებით კალათბურთის ჭეშმარიტმა გულშემატკივარმა დიდად ისიამოვნა.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თავიდან რუსთაველები იგებდნენ. პირველი პერიოდის დასრულებამდე 3 წუთით ადრე რამაზ გოგობერიშვილის განწვრთნილი ქვემოქართლელები 16:8 დაწინაურდნენ, თუმცა ბექა ჩიკვილაძისა და ტაილერ უაიტის შედეგიანობით კაკტუსმა მეორე პერიოდის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 12-ქულიან უპირატესობას მიაღწია – 52:40.

ამის შემდეგ შეხვედრა კაკტუსელთა ლიდერობთ გაგრძელდა, რასაც წერტილი მეოთხე პერიოდის დასაწყისში დაესვა, როცა ჩარლი ლიმ ორქულიანით ქვემოქართლელები 72:71 დააწინაურა. ტონი სპანოლოს, რეზო ჩაჩანიძის, ჩარლი ლისა და გიგი გოგობერიშვილის მექულეობით რუსთაველებმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს და საქმე თითქმის გამარჯვებამდე მიიყვანეს, მაგრამ კაკტუსელთა ამერიკელმა ლეგიონერმა ტაილერ უაითმა შეტევისთვის განკუთვნილი 24 წამის ბოლო წამზე უხერხული სიტუაციიდან 3-ქულიანი ჩააგდო და არჩილ ჟღენტის განწვრთნილი თბილისელები საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე 88:86 დააწინაურა.

შეხვედრის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, რადგან კაკტუსელებს 2 გუნდური ჯარიმა ჰქონდათ და დარჩენილ 2 წამში ტაქტიკური ჯარიმის აღებით ფინალამდე იოლად მისვლა მართებდათ, თუმცა... წუთშესვენების შემდეგ რუსთაველებმა ბურთი გვერდითი ხაზიდან შეტანეს. ბურთი ჩარლი ლიმ მოედნის კუთხეში მიიღო, მეურვეს, ბექა ჩიკვილაძეს გასცდა და გამთანაბრებელი ორქულიანი სირენის თანხლებით ჩააგდო – 88:88. არადა, ჩიკვილაძეს ჯარიმა რომ აეღო, რუსთაველებს ისევ გვერდიდან უნდა შემოეტანათ ბურთი და სასროლად დრო არ დარჩებოდათ.

დამატებით დროში რუსთაველებმა მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვეს და 103:95 გაიმარჯვეს. ტონი სპანოლომ დიდებული სტატისტიკა დაფიქსირა – 29 ქულა, 18 მოხსნა, 5 პასი და 4 ჩჭრა. 19 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი და 4 ჩჭრა მითვალა ჩარლი ლიმ. კაკტუსელთაგან 1 პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე ბექა ჩიკვილაძეს – 28 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი. 27 ქულა მოაგროვა ტაილერ უაითმა.

მგზავრები-სოხუმი 68:82
(18:19, 13:23; 10:20, 27:20)

აუტსაიდერთა მატჩში, რომელშიც ერთმანეთს თითო გამარჯვების მქონე სოხუმი და მგზავრები ხვდებოდნენ, 14-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა. ნუგზარ ჭეიშვილის გაწვრთნილმა სოხუმელებმა მეტოქეს თითქმის ყველა კომპონენტში აჯობეს და საბოლოოდ დამსახურებულად გაიმარჯვეს.

გარდამტეხი გამოდგა მეორე პერიოდი, რომლის დაწყებამდეც თანაბარი და საინტერესო ბრძოლა მიმდინარეობდა. საწყისი პერიოდი სოხუმელებმა მხოლოდ 1 ქულით – 19:18 მოიგეს, რის შემდეგაც მგზავრებზე მთავარი დარტყმა მიიტანეს. მეორე ათწუთეული სოხუმმა 23:13 მოიგო და დიდ შესვენებაზე 11-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

მატჩის ბედი მესამე პერიოდის მიწურულს გადაწყდა, როცა სოხუმელთა უპირატესობამ 24 ქულას მიაღწია – 62:38. ამის შემდეგ სოხუმელებმა მოგებამდე მისვლა იოლად მოახერხეს და მიმდინარე სუპერლიგაში მეორე გამარჯვება იზეიმეს.

სოხუმელთაგან საუკეთესო იყო ფილიპ მილერი: 23 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი და 6 ჩაჭრა. 19 ქულით გამოირჩა ოთო ბულიავა. მგზავრებში 16 ქულით საუკეთესო იყო ბრენდონ პიტერსი, ხოლო 14 ქულა ბექა წივწივაძის ანგარიშზე დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო	6	6	0	524-405	12
2.რუსთავი	7	5	2	572-556	12
3.ქუთაისი	6	5	1	497-460	11
4.კაკტუსი	7	3	4	562-593	10
5.ბათუმი	6	3	3	510-502	9
6.სოხუმი	7	2	5	568-623	9
7.მგზავრები	7	1	6	491-581	8
8.ოლიმპი	6	1	5	446-450	7

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

ვეშაპმა კინაღამ მყვინთავი გადაყლაპა

კუზიანმა ვეშაპმა კინაღამ გადაყლაპა მყვინთავი, რომელიც ნორვეგიის ნაპირებთან ბარენცის ზღვაში ვეშაპების გადაღებას აწარმოებდა.

პატრიკ დიიკსტრა თევზების ჯგუფის სიახლოვეს მიცურავდა, როდესაც მოულოდნელად კუზიანი ვეშაპი გამოჩნდა. ზღვის გიგანტური ცხოველი პირდაპირ მისი მიმართულებით მოძრაობდა, მაგრამ ბოლო მომენტში ადამიანი შენიშნა და გვერდით გაუხვია.

მყვინთავი ამტკიცებს, რომ ვეშაპმა ის „კინაღამ გადაყლაპა“. ის მიიჩნევს, რომ მხოლოდ ვეშაპის მანევრულობამ გადაარჩინა.

– ვეშაპმა ზუსტად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და მოახერხა, ჩემთან შეჯახებისთვის თავი აერიდებინა, – ამბობს დიიკსტრა და იქვე დასძენს, – ეს მეტად გონიერი არსებაა.

შეგახსენებთ, რომ კუზიანი ვეშაპის საშუალო სიგრძე დაახლოებით 14 მეტრს შეადგენს, თუმცა ცალკეული ცხოველები 17-18 მეტრამდე იზრდებიან. ისინი კიბორჩხალებით, თევზებითა და მოლუსკებით იკვებებიან.

კალეიდოსკოპი

ჩინეთში პატარა მაიმუნი თხებთან ჩასახლდა

ჩინეთის პროვინცია ცზიანსიში მაიმუნის ნაშიერი, სავარაუდოდ, მაგოტა, თხებს დაუმეგობრდა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიში იქნა გამოქვეყნებული.

როგორც ვიდეორგოლისადმი გაკეთებულ კომენტარშია ნათქვამი, ფერმერმა ჩუუნმა პატარა მაიმუნი მაშინ აღმოაჩინა, როდესაც თხებს მწყემსავდა. მისი თქმით, მაიმუნის ნაშიერი თხებთან უკვე მეხუთე დღეა ცხოვრობს. ის ყოველ დილით ერთი თხის ზურგიდან მეორის ზურგზე ინაცვლებს.

– შევეცადე, მისთვის ბანანი მიმეცა, მაგრამ ის თხის ბეწვებსაა ჩაჭიდებული და ხელს არ უშვებს, – განაცხადა ფერმერმა.

ცხოველთა დაცვის ადგილობრივი სამსახური აპირებს, მაიმუნს დახმარება აღმოუჩინოს და ქალაქ იჩუნის ზოოპარკში მიუჩინოს ბინა.

ბრიტანელმა ბანჯი-ჯამპერმა ნამცხვარი ჩაის ჭიქაში ჩააგდო

ბრიტანეთის ბერკშირის საგრაფოში 24 წლის ბანჯი-ჯამპერი საიმონ ბერი ტბა ბრეის თავზე 70 მეტრის სიმაღლეზე აღმართული ბაქნიდან, რომელზეც თოკით იყო მიბმული, გადმოხტა და მოახერხა, რომ ჩაის ჭიქაში მოეთავსებინა ნამცხვრის ნაჭერი. ამგვარად, მან ამ დისციპლინის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მიღწევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე გინესის რეკორდების წიგნის არხზე იქნა განთავსებული.

ბანჯი-ჯამპერი წარმოადგენს სპორტის ექსტრემალურ სახეობას, რომლის დროსაც ხორციელდება ხტომები დიდი სიმაღლიდან. ამ დროს სპორტსმენი თოკითაა მიბმული გადმოსახტომ მოედანზე, რომელიც შეიძლება იყოს მაღლივი ნაგებობა, ხიდი და ა.შ. გამოცდილი ჯამპერები თავისუფალი ვარდნის დროს სხვადასხვა აკრობატულ ილეთებსაც ასრულებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 ნოემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.5026
- ევრო — 2.6505
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1175
- 100 რუსული რუბლი — 3.8796

ამინდის პროგნოზი 28 ნოემბრისთვის

29 ნოემბრიდან
საბავშვო ენციკლოპედია

ეს საბავშვო ენციკლოპედია თქვენი შვილის პირველი სერიოზული წიგნი გახდება სამყაროს შემეცნების გზაზე.

ბავშვებისთვის გასაგები ენით გადმოცემულ და თემატურად დალაგებულ ყოვლისმომცველ ინფორმაციას თან ერთვის საუცხოო იუმორით შესრულებული ათასამდე ფერადი ილუსტრაცია.

ამ წიგნში ნახავთ პასუხებს თქვენი ცნობისმოყვარე შვილის თითქმის ყველა შეკითხვაზე.

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

24 ნოემბრიდან
ბიბლიური იგავები

გადაშალე ეს მშვენიერი წიგნი და იმოგზაურე ულამაზეს ბიბლიურ სამყაროში. შეხვდი კეთილ სამარიტელს, მოუსმინე მოწყალე მეფეს, ნახე, როგორ ეგებება მამა დიდი ხნის დაკარგულ შვილს, გაიგე, როგორ მიატოვა მწყემსმა მთელი ფარა ერთი დაკარგული ცხვრის პოვნის გამო.

ეს ბიბლიური იგავებია სიბრძნით სავსე, ხალისიანი და დამაფიქრებელი ამბებით.

ეს შენი წიგნია, სავსე ცოდნითა და ხალისით.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

მადონას შვილი ნარკოტიკების გამო დააკავეს



ლონდონის პოლიციის თანამშრომლებმა ამერიკელი მომღერლის მადონას და ბრიტანელი კინორეჟისორისა და სცენარისტის გაი რიჩის შვილი როკო ჯონ რიჩი დააკავეს. მას სამართალდამცავებმა ნარკოტიკები აღმოუჩინეს.

აღნიშნული ინციდენტი 16 წლის როკოს ჯერ კიდევ 28 სექტემბერს შეემთხვა, მაგრამ ცნობილი მხოლოდ ახლახან გახდა. მადონას შვილი პოლიციის განყოფილებიდან გაათავისუფლეს. ამ დროისთვის ის ახალგაზრდობის დანაშაულთან ბრძოლის კამდენის რაიონის განყოფილების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

როკო ლონდონში პრიმოუზ ჰილის რაიონში მისი სახლის მახლობლად შენიშნეს. მეზობლების თქმით, რომლებმაც პოლიცია გამოიძახეს, ახალგაზრდა „ეწეოდა ან მოიხმარდა ნარკოტიკს“. გამოძახების ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა, ახალგაზრდის ტანსაცმელზე მარიხუანას ნარჩენები შენიშნეს, ხოლო გაჩხრეკის შემდეგ მას ნარკოტიკის გარკვეული რაოდენობა აღმოუჩინეს. კონკრეტულად რა რაოდენობის ნარკოტიკი ჰქონდა როკო რიჩის, უცნობია.

ნიუიორკელს ელექტროსიგარეტი აუფეთქდა

ნიუ იორკის ცენტრალურ სადგურში ერთ-ერთი მგზავრი ჯიბეში ელექტრო სიგარეტის აფეთქებისგან დაშავდა.

თვითმხილველთა თქმით, შორიდან ის ფეიერვერკს წააგავდა. დაშავებული საავადმყოფოში ხელისა და ფეხის მსუბუქი დამწვრობით მოათავსეს. მომხდარს მატარებლების მოძრაობის განრიგზე გავლენა არ მოუხდენია.

გასულ წელს აშშ-ის ტრანსპორტის სამინისტრომ ავიამგზავრებს თვითმფრინავში ელექტრო სიგარეტის ნებისმიერი სახით შეტანა აუკრძალა, ვინაიდან ის შესაძლოა ხანძრის გაჩენის მიზეზად იქცეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი...

ცირკის დირექტორთან მამაკაცი მივიდა და ეუბნება:

– მაგარი ნომერი მაქვს. ავდივარ ცირკის გუმბათის ქვეშ, 20 მეტრის სიმაღლიდან თავით ვხტები ყოველგვარი დამცავი მოწყობილობების გარეშე, მერე ვდგები და მაყურებელს მივესალმები.

– და რამდენს ითხოვთ მაგ ნომერში?

– 300 დოლარს.

– კარგით, ვნახოთ.

გავიდნენ არენაზე. კაცი გუმბათის ქვეშ ავიდა, თავით გადმოხტა და არენას დაასკდა. მერე ტორტმანით წამოდგა. დირექტორი ეუბნება:

– კარგით, ურიგო არ არის, სამასი ხომ?

– სამი ათასი.

– როგორ თუ სამი ათასი? სამასი არ მითხარით?

– მაშინ ჯერ გადმომხტარი არ ვიყავი...

●●●

ბანდიტებმა მამაკაცი გაიტაცეს. ტბასთან მიიყვანეს, წყალში თავი ჩააყოფინეს და ეკითხებიან:

– დოლარები გააქვს?

– არა.

ისევ ჩააყოფინეს წყალში თავი და ეკითხებიან:

– ევროები?

– არა.

ლარები?

– ბიჭებო, ან უფრო ღრმად ჩამიშვით, ან უფრო მეტ ხანს გამაჩერეთ, თორემ ფსკერზე ვერაფერს ვხედავ!

●●●

ცოლი ქმარს საყვედურით და ნიშნის მოგებით ეუბნება:

– აი ჩვენი მეზობელი ამბობს, რომ მის ქმარს ღამეში 35-ჯერ შეუძლია, შენ კი ერთხელ და ისიც გაჭირვებით ახერხებ.

საფიქრებელში ჩავარდნილი ქმარი მეზობელს მიადგება და ეკითხება:

– ამას როგორ ახერხებ?

– შენი ცოლი ჩემსას რა ყურს უგდებს, ის სულელი წინ და უკან ითვლის.

●●●

ცოლი ყვირის. ქმარი ეკითხება:

– რა გაღრიალებს?

– იქ ობობაა!

– მერე რა?

– საშინელია...

– შენც არ მყავდე ლამაზმანი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

25 ნოემბრიდან
პირველად ქართულ ენაზე!
ყბები

პიტერ ბენჩლის ლეგენდარული ტრილერი

გაუმაძღარი უზარმაზარი თეთრი ზვიგენი ემიტი აილენდის მცხოვრებლებს ატერორებს.

ოკეანოლოგი, პოლიციის უფროსი და ზვიგენებზე მონადირე ამ სისხლისმსმელი არსების დასამარცხებლად იბრძვიან.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ბორჯღალოსნებმა თამაში 30 წუთი გვანახეს

შოტლანდია-საქართველო 43:16

შოტლანდია: ჰოგი, მეიოლენდი (ჰიუზი 53), ბენეტი (ჰორნი 63), დანბარი, სიმორი, რასელი, ლეიდლოუ (პრაისი 73); დელი (ალენი 56), ფორდი (ბრაუნი 53), ფეიგერსონი (ლოუ 73), რ.გრეი, ჯ.გრეი (გილქრისტი 73), ჰარლი (ბარქლეი 48), უოტსონი, უილსონი

საქართველო: კვირიკაშვილი (ბეგაძე 73), აფციაური (წიკლაური 41), შარიქაძე, მჭედლიძე, თოდუა, მალაღურაძე, ლობჟანიძე; ნარიაშვილი (ასიეშვილი 49), ბრეგვაძე (ალხაზაშვილი 49), ჩილაჩავა (ქუბრიაშვილი 49), მიქაუტაძე, ნემსაძე (სუთიაშვილი 62), კოლელიშვილი (თხილაიშვილი 46), გორგოძე, ბიწაძე (ლომიძე 52)

ბორჯღალოსნებმა კილმარნოკში ნოემბრის ტესტ-სერიის დამაგვირგვინებელი მატჩი გამართეს და მხოლოდ დასკვნით ნაწილში აჩვენეს რა შეუძლიათ. სამწუხაროდ, ამ დროისთვის ანგარიში უკვე სოლიდური იყო შოტლანდიელთა სასარგებლოდ, რასაც ბოლოში კიდევ ერთი უპატიებელი შეცდომაც დავურთეთ. თუმცა, მივყვეთ მსვლელობას...

მატჩი იმედიანად დაიწყო – მე-4 წუთზე მოლიდან გადმოვარდნილი ბურთი ვასილ ლობჟანიძემ აიტაცა და მეტოქის ღელომდე ირბინა და პირთამდე გავსებულ კილმანროკის პატარა სარაგბო სტადიონი დაადუმა.

თითქოს ამ ღელომ გააბრაზა მასპინძლები და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში თავბრუდამხვევი ტემპით გვიტევდნენ. მასპინძლებმა შესვენებამდე ოთხი ღელო ისე დადეს, დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებიათ. ასეთი მობურთალი შოტლანდიის ნაკრები მათ გულშემატკივრებსაც ძნელად თუ ექნებათ ნანახი. მასპინძელთა ოთხივე ღელო გრეიგ ლეიდლოუმ გარდასახა, ერთხელ ჯარიმაც გაიტანა, მერაბ კვირიკაშვილმა კი მას 2 ჯარიმით უპასუხა და ტაიმი 31:11 დასრულდა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ჯოხვოხდი



თარაზულად: 1. პატარა თეფში; 5. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 7. რისამე ან ვისიმე მიბაძვა; 9. ფრანგი მათემატიკოსი (1865-1963); 10. ობობის მსგავსი შხამიანი ცხოველი; 13. დიდი ბუ (ძვ.); 14. მონათესავე ბოშების მომთაბარე ჯგუფი; 15. უუფლებო ადამიანი; 19. პიტნის სუნის მქონე კრისტალური ნივთიერება; 20. რაიმე დაწესებულების, საწარმოს მმართველი; 21. იტალიური მოხდილი ყველი; 22. „სალდათი“ ბანქოში.

შვეულად: 1. გრ. რობაქიძის პიესა; 2. იოჰანეს ... (გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი); 3. ქალაქი კალიფორნიის შტატში (აშშ); 4. ჩრდილოამერიკული გარეული ხარი; 6. ტუსაღი; 8. საზღვაო მოგზაურობა; 11. მთავრის (თავადის) უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 12. სასაცილო შინაარსის პიესა; 16. ველორიქშა ინდოეთში; 17. ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა; 18. ჟირაფების ოჯახის იშვიათი აფრიკული ცხოველი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ